გაზეთი ბეჭდავს, „ვერსია“ ქმნის

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№58 (1084) 27 - 28 მაისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

2011 წლის 26 მაისი

გვ. 3-4

სისხლიანი მსხვერპლთშეწირვა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად!

სადამსჯელო სპეცოპერაციის 4 წლისთავზე თანამებრძოლების გვამების გავლით ხელისუფლებაში მოსული ოპოზიცია ნეტარებაშია, ოპოზიცია — პოლიტიკურ სამარეში!

საკაშვილის „ოთხი მუშკეტერი“

გვ. 5

განხეთქილება ნაციონალებში თუ ახალი პოლიტიკური ინტრიგის დასაწყისი?!

საქართველოში მიმების საერთაშორისო ცენტრი გაიხსნება



გვ. 8

125

დაცვის პოლიცია

ცოლთან პაემნის მერე „კაიბიჭი“ „საქათმეში“ გაუშვეს

გვ. 7

პატიმრის დღიურები

რა არ აპატიეს პატიმარს „საკამერნიკებმა“

2015 წლის 26 მაისი

გვ. 2

ირაკლი ღარიბაშვილი: „ყველას უნდა გვახსოვდეს, რის ფასად მოიპოვა საქართველომ დამოუკიდებლობა“

ირაკლი ღარიბაშვილი: „ყველას უნდა გვახსოვდეს, რის ფასად მოიპოვა საქართველომ დამოუკიდებლობა“

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, დედაქალაქის ცენტრალურ გამზირზე რიგი ღონისძიებები გაიმართა. საზეიმო ღონისძიებები ოფიციალურად თეატრალიზებული მსვლელობებით დაიწყო, რის შემდეგაც, თავისუფლების მოედანზე, წვევამდელთა ფიცის მიღების ოფიციალური ცერემონიალი გაიმართა. მთელი დღის განმავლობაში დედაქალაქის ცენტრალურ გამზირზე გამოფენილი იყო სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება. სამინისტროებმა კი, თავიანთი პროექტების პრეზენტაციები გამართეს.

ღონისძიების ფარგლებში რუსთაველის გამზირზე მოწყობილი იყო ხელოვნური დათოვლიანების კუთხე, სადაც ზეიმის მონაწილეებმა, გაზაფხულის მიწურულს, გუნდაობა შეძლეს. სპორტის სამინისტროს ორგანიზებით მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა სპორტული თამაშები და შეჯიბრებიც გაიმართა.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას მინისტრთა კაბინეტის სრული შემადგენლობა ესწრებოდა. თავისუფლების მოედანზე მივიდნენ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე.

ირაკლი ღარიბაშვილმა სრულიად საქართველოს მიულოცა 26 მაისი და სამხედროებს სიტყვით მიმართა: „ყველას გილოცავთ 26 მაისს, განსაკუთრებით წვევამდელებს. ყველას უნდა გვახსოვდეს, რის ფასად ვდგავართ აქ, რის ფასად მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა და თავისუფლება. არასოდეს უნდა დაგავიწყდეს ისინი, ვინც საკუთარი სიცოცხლე გაიღო სამშობლოსთვის. სწორედ მათი თავდადების შედეგია, რომ დღეს ამაყად შეგიძლიათ თქვათ: **„ვემსახურები საქართველოს!“ ჩვენ ყველანი ვემსახურებით საქართველოს, ეს ყველაზე დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. ჩვენ უნდა შევძლოთ საკუთარი ვალის აღსრულება. მჯერა, თქვენ ღირსეულად ატარებთ ჯარისკაცის საპატიო სახელს. ჩემთვის დიდი პატივია 26 მაისი მივულოცო საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, განსაკუთრებით ქართულ შენაერთებს, ჩვენი ქვეყნის ერთგულ ჯარისკაცებს, რომლებიც სამშობლოსგან შორს უცხო მიწაზე, თავდადებით და ერთგულად ემსახურებიან მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას და საკუთარი სისხლის ფასად იცავენ, საქართველოს სახელმწიფოებრიობას, მის დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს, ჩვენი და ჩვენი მომავლის უსაფრთხოებას. მეამაყება, რომ ქართველი ჯარისკაცი ჩვენი პარტნიორებისა და მეგობრებისთვის შეუპოვრობის, სიმამაცის და ვაჟკაცობის სიმბოლოდ იქცა“.**

ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირები გაიხსენა და მათ ხსოვნას პატივი მიაგო: **„საქართველოს დამოუკიდებლობა ნიშნავს, ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობას, ჩვენს მოქალაქეებზე ზრუნვას და სახელმწიფოს, როგორც ერთიანი ოჯახის გაძლიერებას და განმტკიცებას. დამოუკიდებლობის დღე არის ჩვენი სახელმწიფოებრიობის დღე. როცა ყველა ერთად უნდა ვაცნობიერებდეთ იმ საერთო სიკეთეს, რაც მოაქვს სამართლებრივ სახელმწიფოს. ამ იდეას მრავალი თაობა შეეწირა, მრავალი მათგანის ოცნებად დარჩა მისი ხილვა, ხოლო ჩვენ დღეს გვაქვს პატივი, ვიცხოვროთ დამოუკიდებელ, ქართულ სახელმწიფოში. სწორედ ესაა პასუხისმგებლობა, იმ თაობების წინაშე, ვინც ეს იდეა განახორციელა, ვინც ჩვენ ქართული სახელმწიფო დაგვიტოვა. ესაა პასუხისმგებლობა ამავდროულად ჩვენი მომავალი თაობის წინაშე. ვისაც უნდა დავუტოვოთ ერთიანი, ძლიერი და სამართლიანი სახელმწიფო“.**

პრემიერმა მეგობარ სახელმწიფოებს, აშშ-ს, ევროპასა და ყველას, ვინც მხარს უჭერს საქართველოს ერთიანობასა და დამოუკიდებლობას მადლობა გადაუხადა.

პრემიერ-მინისტრი რუსთაველის გამზირზე, სამინისტროების მიერ განლაგებულ სტენდებსა და გამოფენილ პროდუქციასაც გაეცნო. მან დამოუკიდებლობის დღე განსაკუთრებით მიულოცა ასევე ჟურნალისტებს: **„მინდა, პირველ რიგში, ჟურნალისტებს მოგილოცოთ დღევანდელი დღე, გისურვოთ მეტი დამოუკიდებლობა, თავისუფლება და გაძლიერება“.**

200-მდე წვევამდელის ფიცი კი, საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო, რის შემდეგაც საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა: **„ნოე ჟორდანია საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ამბობდა: შეხვდით 26 მაისს და თქვენ დაინახავთ, რა ძალა აქვს თავისუფლებას. საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ამბობდა, რომ თავისუფლებას ვერავის წაართმევ. დღეს, ვზეიმობთ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის კიდევ ერთ გამარჯვებას. ვზეიმობთ ამ დღეს მაშინ, როდესაც ქუჯი ერისთავმა და ფარნავაზმა გადაწყვიტეს ერთიანი სახელმწიფოს შექმნა. ვზეიმობთ ამ დღეს იმ მამულიშვილებთან ერთად, რომელთაც მთავარი ღირებულება, ჩვენი ქვეყნის თავისუფლება გაიხადეს ხატად და თავისი სიცოცხლე შესწირეს ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მიღწევას. ქედს ვიხრით იმ მამულიშვილების წინაშე, ვინც თავისი სიცოცხლით, მუშაობით, შემოქმედებით გახადა შესაძლებელი დღევანდელი თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო. ამ დღისთვის არამარტო ჩვენი თაობა არამედ მრავალი ათასი თაობა იღვწოდა. ჩვენ მადლობელი ვართ მათი. ამავე დროს, დღეს ვზეიმობთ მომავალ გამარჯვებებს, რადგან აქ მდგომნი ჩვენი ქვეყნის დიდ გამარჯვებებს მოესწრებიან. მოესწრებიან ჩვენი ქვეყნის სიძლიერეს, გამთლიანებას, კიდევ უფრო გაერთიანებას. ღმერთი ფარავდეს საქართველოს“.**

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის ღონისძიებებში მონაწილეობა აშშ-ს შეიარაღებულმა ძალებმაც მიიღო. აშშ-საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობის კიდევ ერთხელ ხაზგასასმელად, აშშ-ს არმიამ საზეიმო ღონისძიებებში იმ ქართველ სამხედროებთან ერთად მიიღო მონაწილეობა, რომლებთან ერთადაც სამხედრო წვრთნები გაიარა. ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი ამერიკელი და ქართველი სამხედროების პროფესიონალიზმს მიესალმა და რეგიონისა და გლობალური უსაფრთხოების საკითხებში მსხვერპლისა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. ელჩმა საქართველოს ყველა მოქალაქეს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა.

დედაქალაქში, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები პარლამენტის შენობის წინ გალა-კონცერტითა და ფოიერვერკით დასრულდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ქვეყნის კუთხეებშიც აღნიშნეს და ქვეყნის საზღვრებსგარეთაც. მაგალითად, ლიტვაში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, კათედრალის მოედანზე ქართული დროშა გაშალეს. ამ ფაქტის ამსახველი ფოტო, თავად ლიტვის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ გაავრცელა სოციალურ ქსელში და ამგვარად მოგვილოცა 26 მაისი: **„საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ვილნიუსის კათედრალის მოედანი ლიტვისა და საქართველოს დროშებმა დაამშვენა, რომელიც ჩვენი ქვეყნების ერთიანობისა და მეგობრობის სიმბოლოა“.**

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის მილოცვა განთავსდა Google-შიც — ინერნეტსივრცეში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულმა საძიებო სისტემა Google-მა, 26 მაისი სპეციალური ბანერის საშუალებით მოგვილოცა. ვებ-გვერდზე განთავსებული იყო სპეციალური, ფოიერვერკებიანი ანიმაციური სურათი, მასზე „დაკლიკების“ შემთხვევაში კი Google.com საძიებო სისტემით გვატყობინებდა, რომ 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა.

ერთადერთი ნეგატივი, რომელიც ამ დღეს დაუკავშირდა, საოკუპაციო რეჟიმის ქმედება იყო, სადაც 26 მაისი თავისებურად „აღნიშნეს“ — ამ დღეს ცხინვალის რეგიონის ე.წ. საზღვრები უვადოდ ჩაიკეტა. ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის „კაგებეს“ ცნობით, ე.წ. საზღვართან „სააკაშვილის რეჟიმის ფაშისტური ელემენტების“ მიერ პროვოკაციები იგეგმებოდა და ამიტომ რეგიონში უსაფრთხოების ზომები გამკაცრდა.

საქართველომ დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტით გამოაცხადა, რომელიც საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი პირველი ქართული კონსტიტუციური ხასიათის დოკუმენტია. მას დეკლარაციული ხასიათი აქვს და მოკლედაა გადმოცემული საქართველოს, როგორც სახელმწიფოს განვითარების ისტორიული პერსპექტივები და ქართველი ერის დაუოკებელი სურვილი თავად გადაწყვიტოს თავისი მომავალი ბედ-იღბალი. 1918 წლის 26 მაისიდან მოყოლებული, 1921 წელს კონსტიტუციის მიღებამდე დოკუმენტი იქცა იმდროინდელი სამართლებრივი მდგომარეობის პირველწყაროდ.

ვახტანგ გომელაური: „დამოუკიდებლობა საქართველოს უდიდესი მონაპოვარია, რომელიც თითოეულმა მოქალაქემ უნდა დაიცვას“

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ტექნიკის, შეიარაღებისა და აღჭურვილობის გამოფენა მოაწყო. შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად, რუსთაველის გამზირზე მოწყობილ გამოფენას პირადად ეწვია და შსს-ს საგამოფენო კუთხე დაათვალიერა. შს მინისტრმა ასევე დაათვალიერა სხვადასხვა სამინისტროს მიერ მოწყობილი გამოფენებიც.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ე.წ. იმელის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე უწყების სხვადასხვა დანაყოფის ტექნიკა, შეიარაღება და აღჭურვილობა წარმოადგინა: საპარტულო პოლიციის ავტომანქანები: „ფორდი“, „მინი კუპერი“, „პიკაპი“, მოტოციკლები, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ჯავშანტექნიკა: „კობრა“, „ლენდროვერ დეფენდერი“ და „მგელი“, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სახანძრო ავტომანქანა, სამსახურებრივი, მსუბუქი, ოპერატიული ავტომობილი და თოვლმავალი, დაცვის პოლიციის ინკასაციის ახალი დაჯავშნული „ფორდი“, საავიაციო უშიშროების სამმართველოს ოპერატიული მანქანა, ინკასაციის სამმართველოს „ფორდ-რეინჯერი“, სასაზღვრო პოლიციის კვადროციკლები, კავშირგაბმულობის ავტომანქანა. წარმოდგენილი იყო საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს რადიაციული ექსპერტიზის მოწყობილობები, სრული ეკიპირებით აღჭურვილი მანეკენი და მოძრავი ლაბორატორია, შეიარაღების სამმართველოს კუთვნილი მოკლე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და პისტოლეტები, ასევე მომსახურების სააგენტოს მართვის მოწმობის თეორიული გამოცდის ახალი 3D ბილეთები, ისტორიული ბანერები, სადაც გამოფენილი იყო საქართველოში პირველი ავტომობილის, პირველი ავტოავარიის და პირველი მართვის მოწმობის ფოტოები, მართვის მოწმობის საბეჭდი მანქანა, შსს-ს სპორტულ კლუბ MIA FORCE-ის სარბოლო ავტომობილები და საგამოცდო ავტომანქანა. მსურველებს შესაძლებლობა ჰქონდათ ახალი 3 ბილეთებით მართვის მოწმობის თეორიული გამოცდა გაევლოთ, ასევე სურვილისამებრ, სასაჩუქრედ უმზადებდნენ სიმბოლურ მართვის მოწმობებს.

გარდა ამისა, შსს-ს აკადემიამ წარმოადგინა ე.წ. ვირტუალური ტირი, სადაც მსურველებს საშუალება ჰქონდათ სხვადასხვა სცენარით, რამდენიმე წუთით, ინსტრუქტორის დახმარებით პოლიციელის როლი მოერგოთ.

შს მინისტრმა საზოგადოებას საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა.

ვახტანგ გომელაურის განცხადებით, დამოუკიდებლობა საქართველოს უდიდესი მონაპოვარია, რომელიც თითოეულმა მოქალაქემ უნდა დაიცვას. სამშობლოს გასაძლიერებლად კი, ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ: **„საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ! ეს ჩვენი ქვეყნის უდიდესი მონაპოვარია, რომელიც თითოეულმა ჩვენგანმა უნდა დავიცვათ, რათა მომავალ თაობებს თავისუფალი, დემოკრატიული და გამთლიანებული სახელმწიფო დავუტოვოთ! ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ჩვენი სამშობლოს გაძლიერებისთვის!“.**

„ვერსიანიუსი“

26 მაისის სისხლიანი მსხვერპლთშეწირვა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად!

სადამსჯელო სპეცოპერაციის 4 წლისთავზე თანამებრძოლების გვამების გავლით ხელისუფლებაში მოსული ოპოზიცია ნეტარებაშია, ოპოზიცია — პოლიტიკურ სამარეში!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

2011 წლის 26 მაისია, საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავი თენდება. კოკისპირულად წვიმს, ლიდერები სცენაზე „მამაო ჩვენოს“ კითხულობენ. ზუსტად 1-ის 20 წუთზე ყველაფერი ერთმანეთში ირევა — დარბევა იწყება: 1000-ზე ნაკლები აქტივისტი ქვებითა და დროშების ტარებითაა შეიარაღებული, საკუთარი ხელით ჩახერგილ რკინის ბარიკადებთან დგება და ყველა მხრიდან მომდგარ სპეცრაზმს უშვერი სიტყვებით უხმობს. სპეცრაზმი გამეტებით ურტყამს ხელკეტს სპეციალურ ფარზე, ესეც „სადამსჯელო ოპერაციის“ გამაფრთხილებელი სიგნალია. თუმცა გაფრთხილებას რაღა აზრი აქვს, როცა ყველა ქუჩა უკვე ჩაკეტილია. მალე პარლამენტის ორივე პარალელური ქუჩა „ზონდერებით“ ივსება. იკეტება პირველი სკოლის მოპირდაპირე ამოსასვლელიც, ყველა ალყაშია და თხოვნაზე, გამატარე, ცოცხალ ჯაჭვში ჩამდგარ სპეცრაზმს ერთი პასუხი აქვს — აქამდე ვერ გახვედი?! ჩვენც, ჟურნალისტები, აქტივისტები, ლიდერები და შემთხვევითი გამვლელები, კოკისპირული წვიმის ფონზე, ამ დიდი ცოდვისტრიალის თვითმხილველები ვხდებით.

ჩიტაძის ქუჩიდან ჩამოსული რამდენიმე მანქანა მომიტინგეებს ჯერ წყლის ჭავლით ფანტავს, შემდეგ — ცრემლსადენი აირით. ზუზუნებს რეზინის ტყვიები და მიუხედავად იმისა, რომ აქციის მონაწილეთა უმეტესობა, სულ 5 წუთში, უკვე სისხლმდინარე, დასაკავებლად გამზადებული, ასფალტსაა გაკრული, სპეცნაზის კორდონი მაინც იზრდება და ხელდება, შავ-ფორმიანებს კი შინდისფერფორმიანები ემატებიან, მთავარი „დამრბევი“ ძალა! „ვერსიამ“, როგორც დარბევის ეპიცენტრში მოყოლილმა, მაშინ, მარტო პარლამენტის წინ, სასწრაფოს 15 მანქანა და 2 000-ზე მეტი სპეცრაზმელი დაითვალა. თუმცა მთავარი სანახაობა ისევ წინაა — ცოცხალი ჯაჭვი, რომელსაც უკვე მეოთხე წელია, ისეთივე სიცხადით ვხედავ, როგორც 2011 წლის 26 მაისს: „მოსუფთავებულ ტერიტორიაზე“ ერთმანეთზე გადაჯაჭვული ადამიანები მოდიან და გგონია, ეს ჯაჭვი არასოდეს დასრულდება: ორი ან სამი სპეცრაზმელი ერთ დაშავებულ, დასისხლიანებულ, გონდაკარგულ ადამიანს მოათრევს, ხოლო ვინც თავისი ფეხით მოდის, იმას გზადაგზა ისევ ურტყამენ და თუ გაუმართლებს, საავადმყოფოსკენ მიუძღვებიან, თუ არადა — „კაპეზესკენ“. „ვერსია“ 2011 წლის 26 მაისს ამ მძაფრსიუჟეტიანი სანახაობის თვითმხილველი გახდა და მას მერე დღემდე, თავს ვალდებულად თვლის, ამ საკითხზე ყველანაირი გამოხმაურება გააშუქოს, თუმცა გამოხმაურება არ არის... შეიძლება, ვიღაცისთვის 2012 წელს, აქციაზე 5 დაღუპულისთვის სამებაში პარაკლისის ერთხელ გადახდა საკმარისია ისევე, როგორც 2013-2014 წელს, რომელიღაც ბუჩქთან შეკრება და ჩუმი პროტესტი... 2015 წლის 26 მაისი კი ასე გათენდა: რუსთაველზე, მაქსიმუმ, 200 კაცი შეიკრიბა და ესეც სადავო რიცხვია, რადგან პარალელურ რეჟიმში, მერიისა და სხვადასხვა უწყების თანამშრომლები ირეოდნენ პარლამენტის წინ, სადაც სცენაზე მუსიკოსები რეპეტიციობდნენ. შეკრებილთა შორის იყვნენ ნინო ბურჯანაძე ქმარ-შვილით, ირაკლი ბათიაშვილი ოჯახით, თემურ შაშიაშვილი, ბურჯანაძეს შემატებული ქდმ-ელები, ჯონდი ბაღათურია, დიმიტრი ლორთქიფანიძე, დეპუტატი მურმან დუმბაძე, რომელმაც 2011 წლის მაისში აქტივისტები ბათუმიდან ჩამოიყვანა და ერთადერთი წარმომადგენელი ხელისუფლებიდან — დავით ლორთქიფანიძე, რომელიც ქდმ-ს წევრობის მერე, ბურჯანაძესთან მოიაზრებოდა და ახლა „ოცნების“ უმრავლესობის რიგებშია. სამაგიეროდ, აქციაზე არ იყვნენ ეკა ბესელია, 26 მაისის და საერთოდ, ოპოზიციური აქციების ერთ-ერთი მთავარი მედროშე, აქციაზე არ იყვნენ სახალხო კრების წარმომადგენლები, მათ შორის, ნონა გაფრინდაშვილი და თვალი მხოლოდ ლაშა ამირეჯიბს მოვკარით. არ იყვნენ ლამის სახალხო კრებიდან კენჭნაყარი დეპუტატები ლუკა კურტანიძე, სოსო ჯაჭვლიანი, გოგი ქავთარაძე. ასევე, არ იყო გუბაზ სანიკიძე, რომელმაც ნინო ბურჯანაძის ქმარი, სასაზღვრო პოლიციის ყოფილი შეფი, ბადრი ბიწაძე დაჭერასა და ლიკვიდაციას გადაარჩინა, როგორც მაშინ ამტკიცებდნენ და საზღვრამდე საკუთარი მანქანით მიაცილა. ასევე არ იყვნენ ძმები გაჩეჩილაძეები და ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ 26 მაისის მეორე და მესამე დღეს, უმცროსი გაჩეჩილაძე, იგივე „უცნობი“ გვიამბობდა, როგორ მიიმალა ერთ-ერთი რიგითი მოქალაქის ეზოში, როცა ფეხდაფეხ ლამის მთელი სპეცრაზმი მისდევდა. საოცარია, რატომ ჰგონიათ 26 მაისის ლიდერებს, რომ 2011 წლის ამ სისხლიან დარბევაზე კითხვები აღარ არსებობს ან რატომ ფიქრობს „ოცნება“, რომ ვანო მერაბიშვილისთვის 26 მაისის საქმეზე ოთხნახევარი წლის მისჯით 5 კაცის სიცოცხლე გამოისყიდა?! ჩვენ დღესაც გვაქვს კითხვები, რომელიც 2011 წელს გაგვიჩნდა და ისევ პასუხგაუცემელია როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების მხრიდან — რისთვის იდგა ეს ხალხი რუსთაველზე 2011 წელს, პერსონალურად სააკაშვილის მოსაშორებლად თუ ქვეყნისთვის უკეთესი მომავლისთვის? აღლუმის ჩასაშლელად თუ სწორედაც, ომგამოვლილი ქართული ჯარის მხარდასაჭერად? ძლიერი ოპოზიციური ერთობის გასაფორმებლად თუ გაქცეული ლიდერების ზურგის საყურებლად, რომლებიც, თურმე, სახურავებზე დაფრინავდნენ და სხვის ეზოებში ეცემოდნენ? რა შეიცვალა საპარლამენტო სკამების, საგამოძიებო უწყებების დაპატრონების შემდეგ, სრულფასოვნად გამოვიძიეთ 26 მაისი და ყველას საკადრისი პასუხი გაეცა ხუთი გვამის, თვალდათხრილი ბესო ტაბატაძის, ნაწამები გია უჩავას გამო? რატომ გაწირა გენერალი უჩავა, ე.წ. შეფიცულების რაზმის შემქმნელი საკუთარმა გუნდმა, თუკი იცოდა, რომ ნაციონალები მას ჩვენებას წამებით ჩამოართმევდნენ. რატომ აღარაა საჭირო დღეს „შეფიცულთა“ რაზმები და „სახალხო პატრულები“ — რა, ხალხს ქუჩაში აღარ ხოცავენ, საკუთარ სადარბაზოსთან ვერ ჩაცხრილეს ბესო ხარძიანი, თუ ჟურნალისტებზე აღარაა ზეწოლა და ირაკლი კორძაიაც არ გაქცეულა ქვეყნიდან?! რომელ სამართლიანობის აღდგენაზეა საუბარი, როცა კაცს, რომელმაც 26 მაისს თვალი დაკარგა, ინვალიდის პენსია დღემდე არ აქვს დანიშნული? რატომ აღარ არსებობს ოპოზიცია ამ ქვეყანაში — ყველაფერი კარგადაა, ბრძოლა დამთავრდა?!

ჩვენ 2015 წლის 26 მაისსაც დავსვით ეს კითხვები და თავად განსაჯეთ, არის თუ არა სხვადასხვა ლიდერის პასუხები ის, რაც 4 წლის მერე უნდა მიგვეღო.

დასასრული მე-4 გვერდზე

26 მაისის სისხლიანი მსხვერპლთშეწირვა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად!

მე-3 გვერდიდან

ნინო ბურჯანაძე: — მაშინაც და ახლაც ჩვენი თვითმიზანი ვინმეს ციხეში ჩასმა კი არა, სამართლიანობის აღდგენა იყო და იქნება. 26 მაისის ყველა მონაწილე გეტყვით, რომ უკმაყოფილოა, რადგან სამართლიანობა არ აღმდგარა, 26 მაისის უპირველესი დამნაშავე კი სააკაშვილია. სამართლებრივი თუ არა, პოლიტიკური პასუხისმგებლობა ნამდვილად მასზეა! მერაბიშვილის გარდა, იქ უამრავი ადამიანი იყო, რომელმაც ეს ოპერაცია დაგეგმა და მაღალი პრემიების გამო შეასრულა. ველი 26 მაისის საქმის ობიექტურად გამოძიებას, მათ შორის, პრინციპულად მნიშვნელოვანია დაღუპული პოლიციელის საქმის ბოლომდე მიყვანაც.

— დიახ, ბურჯანაძის კორდონმა გაიტანა პოლიციელი — დღემდე ბევრს ასე ჰგონია და რას აკეთებთ იმისთვის, რომ ეს აზრი შეიცვალოს?

— მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ხელისუფლებასაც სურს, ბურჯანაძის გვართან ეს მსხვერპლი ასოცირდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმის გამოძიებას, სადაც არსებობს საქმის მასალები, ვიდეოფირები და თვითმხილველები, 2,5 წელი არ სჭირდება.

— რა მოხდა გია უჩავას შემთხვევაში, რომელიც მაშინ „შეფიცულების“ ლიდერი იყო. დღეს აქ რატომ არ არის და მაშინ რატომ დაიჭირეს?

— ზუსტად ვერ გეტყვით, მაშინ რა მოხდა. ამის მერე მასთან არც საუბარი მქონია, არც შეხვედრა. დეტალები არ ვიცი, მაგრამ იმდენად დიდი იყო ზეწოლა, ადვოკატებმაც კი უარი თქვეს ამ საქმეში მონაწილეობაზე. ძალიან სამწუხაროა, რომ გია უჩავამ ამ ზეწოლას ვერ გაუძლო. აქ ბევრი ადამიანია, ვინც ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ზეწოლას გაუძლო.

— აქ არ არიან ადამიანები, ვინც ვერ გაუძლო სკამის ცდუნებას — სად არის ლუკა კურტანიძე, სოსო ჯაჭვლიანი, გოგი ქავთარაძე, ეკა ბესელია, რომელმაც აქციის დაჭერილ მონაწილეებს პოლიტპატიმრის სტატუსი მისცა, გუბაზ სანიკიძე, რომელმაც თქვენი ქმარი ბადრი ბიწაძე ქვეყნიდან გაიყვანა?

— ქალბატონ ეკაზე ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ ის პოლიტპატიმრებისა და დევნილების უფლებებისთვის იბრძოდა. გუბაზ სანიკიძეს იმას არასოდეს დავუვიწყებ, რაც გააკეთა. ჩვენ სხვა ურთიერთობა გვაქვს, ნათელ-მირონობა გვაკავშირებს, ახლობლები ვართ — ის ჩემთან იმ ღამით, პირველი მოვიდა და გვერდში დამიდგა. არ ვიცი, რატომ არ არის დღეს, შეიძლება, საპატიო მიზეზი აქვს, სხვებზე კი მე ნუ მეკითხებით — უფრო ლოგიკური იქნებოდა, აქ ყოფილიყვნენ.

— მიაღწიეთ მიზანს, რაც 26 მაისს გქონდათ დასახული, ბრძოლა დამთავრდა?

— არა, ბრძოლა არასოდეს მთავრდება. უბრალოდ, დამთავრდა ეტაპი, როცა ქვეყანას სასტიკი რეჟიმი მოსცილდა.

— დაახლა რა ეტაპია ან თქვენ რატომ ხართ ასეთი პასიური?

— ახლა მიდის ბრძოლა ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის. ქვეყანას მაინც სჭირდება გადარჩენა, იმის მიუხედავად, რომ ახალი ხელისუფლება ბოროტი ნამდვილად არ არის. ისინი უუნაროები, არაკომპეტენტურები, გაუბედავები აღმოჩნდნენ. ხოლო ხელისუფალი, რომელიც სულ უკან ან რომელიმე საელჩოსკენ იყურება, ქვეყანას წინ ვერ წაიყვანს. არ გავჩერდები მანამ, ვიდრე რეჟიმი ბოლომდე არ წავა, ქვეყანა არ გამთლიანდება და ისეთი ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები არ გვექნება, რომელიც ძალადობრივი სისტემის თავიდან ჩამოყალიბებას არ დაუშვებს. სამწუხაროდ, ბიძინა ივანიშვილმა და „ოცნებამ“ პოლიტიკა მოკლეს, ამიტომ ახლა დიდი აქტიურობის ფაზა ნამდვილად არ არის. თუმცა არჩევნების მოახლოებასთან ერთად, უფრო გავაქტიურდებით.

ეტყობა, ბადრი ბიწაძეც უფრო აქტიურ ფაზას ელის და ამის მერე გვიპასუხებს, როგორ დასდევდნენ მოსაკლავად და გადაარჩინა ნათესავმა დეპუტატმა, მანამდე კი ხუმრობით გვითხრა, 2011 წლიდან 5 წლის თავზე ვისაუბროთ, ანუ კიდევ ერთი წელი ვდუმვარო. ზოგიერთი ლიდერი იმასაც გვიდასტურებდა, რომ ახლანდელი 26 მაისი ისევ ნაციონალების წინააღმდეგ იმართება. **ირაკლი ბათიაშვილი:** — კარგად მახსოვს 1988 წლის 26 მაისი, როცა ეროვნულმა მოძრაობამ სერიოზული აქცია გავმართეთ კოსტავას ეზოში და რამდენიმე დარბევის მერე, მეორე დღეს უკვე ყველამ იცოდა, 26 მაისი რას ნიშნავს. 2011 წლის 26 მაისი კი ეს იყო ბრძოლა სააკაშვილის რეჟიმისგან ქვეყნის გასათავისუფლებლად. 2011 წლის 26 მაისმა საეტაპო როლი შეასრულა 2012 წლის 1 ოქტომბრისთვის. როცა ის საშინელი დარბევა დაიწყო, მაშინ ზუსტად ეპიცენტრში ვიყავი და აქტივისტები შენობებში შევედით, სადაც სპეცნაზი შემოგვყვა და ჩემი დევნის ოპერაცია დაიწყო. ჩვენ ერთ-ერთი შენობის სახურავზე ასვლა და მეორე სახურავზე გადასვლა მოვახერხეთ. ამას მოჰყვა სამი გასროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან და დღემდე ამის გამოძიებას ვითხოვთ. თუმცა ეს ყველაფერი ხელისუფლებას ადეკვატურად არც გამოუძიებია და არც შეუფასებია.

— როგორც გავიგე, კვლავ ხალხის გაფრთხილებას აპირებთ, ნაციონალები გეგმავენ დაბრუნებასო. ისევ ასეა საქმე, რომ აქციას ოპოზიციის წინააღმდეგ ატარებთ?

— დიახ, ხომ ხედავთ, სადამდე მივიდა საქმე?! ვინ იფიქრებდა, რომ დღეს ხალხში ისევ იმაზე ისაუბრებდნენ, ვაიმე, ესენი არ მობრუნდნენო! ეს საქმე აქამდე დღევანდელი ხელისუფლების უნიათობამ მიიყვანა. ძნელია, შენს ყოფილ თანამებრძოლებს, ვინც ახლა ხელისუფლებაშია, მწვავედ დაუპირისპირდე, მაგრამ როგორც ვატყობ, მალე ამის დროც დადგება!

შემოდგომაზე ოპოზიციის გააქტიურებას ვარაუდობს **თემურ შაშიაშვილი,** რომელსაც 4 წლის წინ თავიც გაუტეხეს. შაშიაშვილს დღეს გული აქვს გატეხილი და ფიქრობს, საქართველო პოლიტიკოსებმა დაღუპეს: **„ქართულმა ოცნებამ“ სათავისოდ კარგად გამოიყენა როგორც 8 აგვისტო, ისე 26 მაისი ხელისუფლებაში მოსასვლელად. ჯერ გამოიყენა, მერე დაივიწყა, ვინც ეს დაატრიალა, იმას ფეხქვეშ ფიანდაზი გაუგო და ვინც სიკვდილს მართლა თვალებში ჩავხედეთ, ის ხალხი გაგვწირეს. რით უნდა ვიყო კმაყოფილი, როცა ვინც ასეთ დღეში ჩაგვყარა, დღეს ისინი არიან დაწინაურებულნი. დღეს „შეფიცულებიც“ გვჭირდება და უფრო მეტიც. ამიტომ დარწმუნებული ვარ, ეს შემოდგომა ძალიან სერიოზულ სახალხო მოძრაობას გამოკვეთს. ამ 4 წლის განმავლობაში, დავრწმუნდი, რომ ეროვნული მოძრაობა სკამით სრულდება და ესაა ტრაგედია. კვლავ ძველი ვითარება რომ იყოს, ისევ გავიმეორებდი 26 მაისს, ოღონდ მსხვერპლის გარეშე. თუმცა დღეს მშვიდობაა საქართველოში? სისხლისღვრამ 26 მაისს პროგრესი მოიტანა, დღეს სისხლი შრება და რეგრესისკენ მივდივართ. დღეს გაცილებით მძიმე მდგომარეობაა, ვიდრე 4 წლის წინ იყო და ეს აზრი ხალხში ნელ-ნელა ძლიერდება. დაგვაქცია ერთი კაცის ხათრით არჩეულმა ხელისუფლებამ და ახლა ისევ ხალხის იმედი მაქვს, რომ ამჯერად, ღირსეულ არჩევანს გააკეთებს“.** 26 მაისის კიდევ ერთმა მონაწილე დეპუტატმა, ოპოზიციონერმა მურმან დუმბაძემ ბათუმში, აჭარის ტელევიზიის წინ დარბეული აქცია გაიხსენა და დასძინა, სამართალი კუს ნაბიჯებით მოდისო. ხელისუფლების ერთადერთმა წარმომადგენელმა **დავით ლორთქიფანიძემ,** რომელიც აქციაზე სახალხო იმედგაცრუების პირდაპირი ადრესატი იყო, გვიპასუხა, ჩემს საპარლამენტო ტრიბუნას ისე ვიყენებ, როგორც შემიძლიაო. **„როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს, ბრალდებებზე ძალიან ლაკონური პასუხი მაქვს. დღესაც აქ ვდგავარ ისე, როგორც 2011 წელს ვიდექი. მაშინ აქ სადისტურად მოკლეს ჩემი რაიონის მკვიდრი, სულიკო ასათიანი. სად არიან სხვები, არ ვიცი და როცა ვნახავ, აუცილებლად ვკითხავ, აქ მოსვლა რატომ ვერ მოახერხეს. დიახ, მე მაქვს ტრიბუნა და მას ვიყენებ კიდეც, 26 მაისის საკითხი პლენარულ სხდომაზეც არაერთხელ დავაყენე და არასდროს მოვერიდები ამ მწვავე თემაზე საუბარს. ფაქტია, ჯერ გადაწყვეტილება მიღებული არ არის“.** ყველაზე ადეკვატური კი კვლავ არაპოლიტიკოსის, მაგრამ იმ ადამიანის ნათქვამი აღმოჩნდა, ვინც იმ აქციას თითოეულ პოლიტიკოსზე მეტი შესწირა — საკუთარი თვალი. თუმცა ბესო ტაბატაძისთვის, თვალის დაკარგვაზე მძიმე, იმედის დაკარგვა აღმოჩნდა: **„პოლიტპატიმრები ციხიდან გამოუშვეს, ჩვენი დევნა შეწყდა, მაგრამ არც ნასამართლეობა მოგვეხსნა, არც მანქანის მართვის უფლება გვაქვს, ვერც სამსახურს ვშოულობთ. რისთვის გამოუშვეს ეს ხალხი ციხიდან, ჰაერში გამოსაკიდად? დაზარალებულებს ერთი ფარატინა ქაღალდი მოგვივიდა, სადაც ეწერა, რომ პროკურატურა ბოდიშს იხდიდა, მაგრამ ამის მერე ჩემი საქმე ისევ ჰაერშია, არავის დაუკითხივარ და ის კი არა, პენსიაც ვერ დავინიშნე, იმის მიუხედავად, რომ თვით ნაციონალების დროს ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაადასტურა — ჩემი შრომისუნარიანობა 35%-ითაა შეზღუდული და მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ. 2012 წელს რაღაც იმედი მოგვცეს და ახლა ეს იმედიც აღარ გვაქვს. ყველაზე ძნელი უიმედობაა, თორემ თვალის დაკარგვას უფრო იოლად გადაიტანს ადამიანი“.**

ღამის 11 საათზე შეკრებილი ხალხი ერთ საათში დაიშალა. 2011 წლის 26 მაისის შემდეგ, სახალხო კრება სახალხო იმედგაცრუებად გადაიქცა, 26 მაისი კი, დამოუკიდებლობის ზეიმთან ერთად, სისხლიანი რუსთაველის, არმოსული ლიდერების, დავიწყებული 5 გარდაცვლილის დღედ. ამ ყველაფრის შემდეგ, ალბათ, მაშინდელი აქციის ორგანიზატორებმაცა და თვითმხილველებმაც კითხვა უნდა დავსვათ — რა აზრი ჰქონდა 26 მაისს იმ სისხლისღვრას, თუკი 4 წლის მერე და ახალი ხელისუფლების პირობებშიც, აქციას მაინც ნაციონალებს ჩავუტარებდით...

სააკაშვილის „ოთხი მუშკეტერი“ — განხეთქილება ნაციონალებში თუ ახალი პოლიტიკური ინტრიგის დასაწყისი?!

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

ქართულ პოლიტიკაში დიდი გადანაწილების პროცესი დაიწყო. მას შემდეგ, რაც დეპუტატებმა ზურაბ ჯაფარიძემ, პავლე კუბლაშვილმა, გიორგი მელაძემ და გოგა ხაჩიძემ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ყველა მაღალი პოლიტიკური თანამდებობა დატოვეს, პოლიტიკური კულუარები ცოტა გამოცოცხლდა. როგორც ხდება ხოლმე, 27 მაისის პრესკონფერენციამდე, მანამ, სანამ „სააკაშვილის მუშკეტერები“ რეალურ მიზეზებს გაგვანდობენ, ყველამ ყველაფერი იცის. ათასი ჭორ-მართალი და ვერსია ვრცელდება, თუმცა „დ'არტანიანის“ ვინაობას მხოლოდ მაშინ გავიგებთ, როცა ოთხი მუშკეტერი საკუთარი გადაწყვეტილების მიზეზებს ოფიციალურად გამოაცხადებს. ჯერჯერობით ნაციონალები იღვწიან, დიუმას როლი კვლავ ბიძინა ივანიშვილს დაუტოვონ და ინტრიგას რაც შეიძლება მეტი იდუმალება შესძინონ. ასეა თუ ისე, „ვერსია“ ამჯერად სწორედ იმ ვერსიებს გთავაზობთ, რომელიც ორი დღის მანძილზე ვრცელდება და ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ ეს გახლავთ დასავლეთის პირველი ქმედითი ნაბიჯი, რომელიც რიგის სამიტისა და „ენდიაის“ გამოკითხვების შედეგებმა გამოიწვია.

ოფიციალური მიზეზი

25 მაისს, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ამავე პარტიის ოთხმა წევრმა დატოვა. 27 მაისს გაირკვევა, რატომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება ნაციონალური მოძრაობის აწუკვე ყოფილმა წევრებმა. მანამდე, არც წასულები და არც დარჩენილები დეტალებზე არ საუბრობენ. 25 მაისს, საღამოს, ნაციონალური მოძრაობის ლიდერები პარტიის ოფისში შეიკრიბნენ და გვიან ღამემდე თათბირობდნენ. „უპასუხისმგებლო და არაადეკვატური გადაწყვეტილება“, — ასე შეაფასა გოკა გაბაშვილმა ოთხეულის გადაწყვეტილება. მისივე თქმით, მათ **„ოლიგარქის მხრიდან გარკვეულ წნეხსა და სამწიან მუქარას ვერ გაუძლეს“.**

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით კი, ნაციონალური მოძრაობის დატოვებას ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერიაც გეგმავს, რომელმაც შესაძლოა, ახალი პარტიაც შექმნას. თუმცა მოგვიანებით, ბოკერიამ განმარტა, პარტიის დატოვებას არ ვაპირებო, ხოლო ოთხეულის გადაწყვეტილებას „უპასუხისმგებლო, არასერიოზული და ინფანტილური“ უწოდა. ბოკერიას შეფასებით, **„პოლიტიკაში, მთავარ ოპოზიციურ ძალაში ლიდერის პოზიციაზე ყოფნა, სერიოზული პასუხისმგებლობაა და ძალიან სამწუხაროა, რომ ეს ადამიანები ასეთი უპასუხისმგებლები აღმოჩნდნენ, თუმცა ამით ბევრი არაფერი იცვლება“.**

იმავე დღეს, Facebook-ის საკუთარ გვერდზე, ოთხივე ადამიანის სახელით, ზურაბ ჯაფარიძემ ნაციონალური მოძრაობიდან წასვლის ფაქტი დაადასტურა, თუმცა იქვე განმარტა, რომ მათთვის არ შეცვლილა ღირებულებები, არც ქვეყანაში არსებული რეალობის აღქმა, არც პოლიტიკური ხედვები და არც პოლიტიკური მოწინააღმდეგე: **„ვადასტურებ, რომ მე, გოგა ხაჩიძემ, პავლე კუბლაშვილმა და გიორგი მელაძემ პოლიტიკური გაერთიანება ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საპარლამენტო ფრაქცია და ყველა თანამდებობა დავტოვეთ, რაც პარტიასა თუ პარლამენტში გვეკავა. 27 მაისს ამ ყველაფერს ფორმალურად გავაფორმებთ. თანამოაზრეებთან ერთად, გაცილებით მეტი შემართებითა და ენერგიით გავაგრძელებთ ბრძოლას, რათა ოლიგარქის მმართველობა დასრულდეს“.**

ზურაბ ჯაფარიძემ ყოფილი პარტიელების — გოკა გაბაშვილისა და გიგა ბოკერიას განცხადებებს უადგილო უწოდა. მისი თქმით, პარტიის დატოვების მიზეზი გაცილებით სერიოზულია და საზოგადოება ამას მალე გაიგებს.

კულუარული ვერსიები

ჯაფარიძე-კუბლაშვილი-ხაჩიძე-მელაძის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ, ცნობილი რუსი მეიგავის, ივანე კრილოვის იგავ-არაკი „კვარტეტი“ გამახსენა... რას ნიშნავს ექსნაციონალი კვარტეტის „პოლიტიგავი“ და რას შეცვლის მათი გადაწყვეტილება პოლიტიკურ ორბიტაზე?

ვერსია პირველი: პოლიტიკური კვარტეტი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება და ამ მიზნით, ახალი პარტიის შექმნას გეგმავს.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრი, პარლამენტარი ირმა ნადირაშვილი აცხადებს, რომელიც კიევში, მიხეილ სააკაშვილთან ერთად იმყოფება: **„მაქვს ინფორმაცია, რომ ისინი ახალ პარტიას აფუძნებენ. მათი წასვლა, ჩემთვისაც მოულოდნელობა იყო“.**

ვერსია მეორე: ჯაფარიძე, ხაჩიძე, კუბლაშვილი და მელაძე, შესაძლოა, „თავისუფალ დემოკრატებს“ შეუერთდნენ და ამით, ოპოზიციაში გადასული ირაკლი ალასანიას საპარლამენტო ფრაქცია გააძლიერონ.

სხვათა შორის, ეს ინფორმაცია „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთმა წევრმა, პარლამენტარმა ზურაბ აბაშიძემ არც უარყო და არც დაადასტურა. ჩანს, ყოფილ ნაციონალებსა და „თავისუფალ დემოკრატებს“ შორის ამ თემაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს, რადგან ზურაბ აბაშიძემ მათთან შესაძლო თანამშრომლობა არ გამორიცხა.

ახალი პარტიის შექმნის ან „თავისუფალ დემოკრატებთან“ გაერთიანების იდეას ექსპერტ სოსო ცისკარიშვილის ვარაუდიც ამყარებს. „ვერსიასთან“ საუბრისას, ცისკარიშვილმა აღნიშნა, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიხეილ სააკაშვილის მონაწილეობა უკვე დადასტურებული ფაქტია. მისი თქმით, შესაძლოა, ნაციონალურ მოძრაობაში სწორედ ამის გამო გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა ანუ ნაციონალების ერთი ნაწილი მიხეილ სააკაშვილის მონაწილეობას მომდევნო საპარლამენტო არჩევნებში, სწორედ პარტიის დატოვებით ემიჯნება. სოსო ცისკარიშვილმა ისიც განაცხადა, რომ შესაძლოა, ექსნაციონალი კვარტეტი რომელიმე ოპოზიციურ პარტიაში გაერთიანდეს ან სულაც, დამოუკიდებლად შექმნან პარტია, რათა 2016 წლის არჩევნებისთვის მოემზადონ.

ვერსია მესამე: ექსნაციონალების კვარტეტმა ზენოლას ვერ გაუძლო და გადაწყვიტა, არც მეტი და არც ნაკლები, ივანიშვილის ინტერესებს ემსახუროს ანუ იგივე მაშველი რგოლის მისია შეასრულოს, რასაც მაჟორიტარების უპარტიოების ფრაქცია ასრულებს.

ამ ვერსიას ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი წევრი ნუგზარ წიკლაური Facebook-ის საკუთარ გვერდზე ავრცელებს და წერს, რომ **„ეს პროცესი ადამიანურადაა ძალიან სამწუხარო, თორემ პოლიტიკური თვალსაზრისით, დრამატული არ არის. ბრძოლა გრძელდება და ამ ბრძოლაში, პარტიიდან გაქცეულების გარეშეც გავიმარჯვებთ“.**

ვერსია მეოთხე: სააკაშვილის მუშკეტერები მილიონებზე გაიყიდნენ, შუამავალი კი პავლე კუბლაშვილი იყო.

„ლიტვაში, ჯოზეფ ქეის მიერ გახსნილ ანგარიშზე, პალიკო კუბლაშვილისთვის სოლიდური თანხა ჩაირიცხა. პირველად, ყოფილი თანაპარტიელის, ლაშა თორდიას საშუალებით, რომელიც ახლა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსია, სწორედ კუბლაშვილმა შესთავაზა საკუთარი თავი „ოცნებას“. ზეწოლა არა, ქვეწოლა, ფული, მეგობრებო, ფული!“ ესაა ჩვეულებრივი პოლიტიკური სქემა, რომელსაც პარტიის ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი პალიკო კუბლაშვილი ხელმძღვანელობს. სწორედ კუბლაშვილი იყო ნაციონალური მოძრაობიდან წასვლის ინიციატორი და პარტიიდან წასვლის სანაცვლოდ, ბიზნესმენ ჯოზეფ ქეის მიერ ლიტვაში გახსნილი ანგარიშის საშუალებით, „ქართული ოცნებისგან“ სოლიდური თანხა მიიღო.

და ბოლოს, ვერსია მეხუთე: სააკაშვილისგან მიტოვებულმა ვანო მერაბიშვილმა საკუთარი პოლიტიკური თამაში დაიწყო.

ექსპრემიერი ყოფილი მაღალჩინოსნების, ვაჟა ლილუაშვილისა და ამირან მესხელის დახმარებით, ახალ პარტიას ქმნის, რომელსაც პარლამენტარი და ბიზნესმენი კახა ოქრიაშვილი და ცეზარ ჩოჩელი უხელმძღვანელებენ. თუმცა დამოუკიდებელ ფრაქციას მინიმუმ, ექვსი დეპუტატის სჭირდება. ამჟამად საკანონმდებლო ორგანოში ოთხი დამოუკიდებელი დეპუტატია, რომელთაგან სამმა – გიორგი გაჩეჩილაძემ, კობა დავითაშვილმა და მურმან დუმბაძემ ქართული ოცნება დატოვეს. მეოთხე, დამოუკიდებელი პარლამენტარი კი დავით ბეჟუაშვილია, რომელმაც ნაციონალური მოძრაობა დატოვა. გამორიცხული არ არის, კვარტეტმა საერთო ენა სწორედ ბეჟუაშვილთან გამონახოს.

ექსპერტების შეფასებები

ექსპერტი **გია ხუხაშვილი** „ვერსიასთან“ აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა „ღრმა კრიზისშია“ და ამ პარტიის საქმე 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დასრულდა, როცა საზოგადოებამ ყოფილ ხელისუფლებას საკმაოდ მძიმე მუხლით გამოუტანა ვერდიქტი ანუ ნაციონალური მოძრაობის მმართველობა ავტორიტარულ რეჟიმად შეაფასა: **„თუ ამის შემდეგ, ნაციონალური მოძრაობა ქართულ პოლიტიკაში კიდევ ფართხალებდა „ქართული ოცნების“ დამსახურებაა, რომელიც ამ პარტიას იმაზე მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე რეალურად იმსახურებს. აბსოლუტურად არ არის საინტერესო, ვინ მიდის ამ პარტიაში ან პირიქით — ვინ ტოვებს, მათი პოლიტიკური პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვანია და თვითონ ვქმნით მითებს ამ პარტიისა თუ მისი წევრების განსაკუთრებულ შესაძლებლობებსა და უნარებზე. სინამდვილეში, კუბლაშვილი და ხაჩიძე, ნაციონალურ მოძრაობაში იქნებიან თუ სხვაგან, ტელევიზორთან დასხდებიან, „პოპკორნს“ მიირთმევენ თუ თავდაყირა დადგებიან, მნიშვნელობა არ აქვს. პარტია, რომელიც დანაშაულშია ეჭვმიტანილი, არ შეიძლება, ასე მოკლე დროში რეაბილიტირებული იყოს. რამდენადაც უცნაურად უნდა მოგეჩვენოთ, ამ რეაბილიტაციას თავად ხელისუფლება ცდილობს, რადგან რა თემაზეც უნდა დაელაპარაკო „ოცნების“ წარმომადგენლებს, გამუდმებით, ნაციონალურ მოძრაობას ახსენებენ და მათ რეკლამირებას უწყობენ ხელს. ვფიქრობ, ეს ოთხეული ახალ პოლიტიკურ პლატფორმას, ახალ პოლიტიკურ გუნდს ეძებს. შესაძლოა, მათ გააცნობიერეს, რომ ნაციონალურ მოძრაობას, როგორც პოლიტიკურ ძალას, უახლოეს წლებში პერსპექტივა არ აქვს და ისინი ახალ ნავსაყუდელს სხვა პარტიაში, დავუშვათ, „თავისუფალ დემოკრატებში“ ეძებენ“.**

ექსპერტმა, სოსო ცისკარიშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ ექსნაციონალი ოთხეულის გადაწყვეტილებამ საზოგადოებას ამ პარტიის უნიათობა და უსუსურობა დაანახა. მისი თქმით, კვარტეტის გადაწყვეტილება ემოციური ნაბიჯია, მეტიც, სოსო ცისკარიშვილს უჭირს ერთმანეთთან დააკავშიროს ადამიანები, რომლებსაც სრულიად განსხვავებული პოლიტიკური ბიოგრაფიები აქვთ: **„ვერ ვიტყვი, რომ მათი ამ გადაწყვეტილების გამო, საზოგადოება კვარტეტს ანგელოზებად შერაცხავს. ნაციონალურ მოძრაობაში მათი მრავალწლიანი მოღვაწეობისას, ბევრი უკანონო კანონიც გვახსოვს, რომლებსაც ბატონი პალიკო კუბლაშვილი ქმნიდა. „დრონი მეფობენ და არა მეფენი“, ამიტომ დადგა დრო, რომ ნაციონალური მოძრაობის ნაწილმა მაინც, ყოველგვარი მოწმეების გარეშე, საკუთარი სინდისის სარკეში ჩაიხედონ, საკუთარი თავი ამოიცნონ და საზოგადოების წინაშე სულ სხვა მოტივაციით, სხვა სიმართლით წარსდგნენ. რაც შეეხება წნეხს, ეს პრიმიტიული და უნიჭო თემაა, რადგან „ქართული ოცნება“ ასე კვარტეტ-კვარტეტ ვერ იმუშავებდა. მათ რომ წნეხის შნო ჰქონოდათ, ნაციონალური მოძრაობა უკვე დიდი ხნის დაწნეხილი და მიჭირხნილი იქნებოდა“.**

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ხათუნა ლაგაზიძე** აცხადებს, რომ თუ ნაციონალური მოძრაობა „მარტივ მამრავლებად“ დაიშლება, ამით ხელისუფლების შანსი გაიზრდება, პარლამენტში, დაძაბვის გარეშე, უმრავლესობა მოიპოვოს.

დღე, რომელიც არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს!

ლევან სეფიასკვერაძე

მიუხედავად იმისა, რომ შეგნებულად თუ შეუგნებლად ბევრი ცდილობს დამოუკიდებლობის დღის დაკნინებას, უპირველესად, ჩვენი ქვეყნის ისტორია გვავალდებულებს, რომ 26 მაისი არამხოლოდ გვახსოვდეს, არამედ ეს თარიღი იყოს ჩვენი ცხოვრების თანმდევი ნიშანსვეტი და მუდმივი გახსენება იმისა, რომ დამოუკიდებლობა უპირველესია და მას არანაირ „ფოჩიან კანფეტებში“ არ გავცვლით. ამ, ერთი შეხედვით, მარტივ ღირებულებებზე ყველანი უნდა შევთანხმდეთ. მით უმეტეს დღეს, როცა ჩვენი ქვეყანა ევროპის კარიბჭესთან დგას.

სამწუხაროდ, ალბათ ჩვენს მკითხველებს შორისაც არიან ადამიანები, რომლებსაც სჯერათ სამარცხვინო ბოდვების და მიაჩნიათ, რომ „ევროპა და ამერიკა ორივე ჩვენი მტერია“, „დასავლეთი ჩვენს გარყვნას აპირებს“, „ამერიკა მასონების ქვეყანაა“ და „რუსეთი ჩვენი მტერი სულაც არაა“, მაგრამ... მოდი, მაინც გვჯეროდეს — ეს ადამიანებიც მიხვდებიან, რომ ქვეყნის მტერთან დაწოლასა და ლაქუცს ჯერ არასოდეს გამოუღია კარგი შედეგი და ნორმალურ სახელმწიფოს მხოლოდ საკუთარ თავში დაჯერებული, ურთიერთსოლიდარობის გრძნობის მქონე ადამიანები ქმნიან და არა რუსეთისთვის „ერთმორწმუნეს“ დამძახებელი კოლაბორაციონისტები.

ჩვენს სამშობლოს არც ნავთობი აქვს და არც გაზი, რომ განვითარების ისეთ გზაზე ვიოცნებოთ, როდესაც მავანი ოლიგარქი ფულს ჩააყრის (ისე კი იყო ამის ილუზიებიც) და ერთ დღესაც ძლიერ სახელმწიფოში გავიღვიძებთ. ჩვენი ერთადერთი სწორი გზა მხოლოდ შრომაზე, პატრიოტიზმსა და სოლიდარობაზე გადის. მხოლოდ ასე შეგვიძლია, შევცვალოთ ჩვენი არცთუ საამო ყოფა და მხოლოდ ასე დავუძვრებით ერთმორწმუნე მტრებს.

შარშან საქართველომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. რა თქმა უნდა არავის გვაქვს ილუზია, რომ ამ ხელმოწერის შემდეგ საქართველო მსწრაფლ შვეიცარია გახდება და ტერიტორიული მთლიანობაც მაშინვე აღდგება, მაგრამ ეს იქნება კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი იქითკენ, საითაც წასვლაზე ჩვენი ყველაზე დიდი თანამემამულეები საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდნენ. ილია, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი და სხვანი და სხვანი ამ ქვეყნიდან ისე წავიდნენ, საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ ოცნებად დარჩათ. ამ ადამიანებს განათლება პეტერბურგში ჰქონდათ მიღებული, მაგრამ ევროპისა და ევროპული ღირებულებების ყველაზე დიდი მქადაგებლები იყვნენ ქართულ საზოგადოებაში. მათი დიდი ოცნება სწორედ ევროპასთან დაახლოება იყო, მაგრამ მაშინ ჩვენი ქვეყანა რუსეთში ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების სახით შედიოდა და დამოუკიდებლობა შორეულ ოცნებად მოჩანდა. არ მინდა, ზედმეტად პათეტიკურად გამომივიდეს, მაგრამ რა ვუთხრათ ამ ადამიანებს ამდენი წლის შემდეგ, თუკი ჩვენ კვლავ რუსეთს დავუწვებით კიკუსავით და თავმოყვარეობაზე კიდევ ერთი ასი წლით ვიტყვით უარს.

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა. გუშინდელი დღესავით მახსოვს 90-იანი წლების გარიჟრაჟზე სულ პირველად აღნიშნული ეს დღე და ხალხის ცრემლიანი თვალებიც არ დამვიწყება. ყველას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლებოდა და, ერთხელ და სამუდამოდ, შევძლებდით რეალურად დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოში ცხოვრებას. ჩვენს ქვეყანას დღეს ამის რეალური შანსი აქვს და ამ შანსის ხელიდან გაშვებას მომავალი არ გვაპატიებს. ყველანი ერთად უნდა დავდგეთ ჩვენი ევროპული მომავლის დასაცავად! გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს!

„თუ დეკემბერშიც ვერ მივიღებთ უვიზო მიმოსვლას, არ ნიშნავს, რომ ქვეყანა დაიქცა“

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის განცხადებით, საქართველო ის რეგიონია, რომელიც სპეცსამსახურებისთვის, გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საუკეთესო დასაყრდენია. მისივე განმარტებით, ქართულ სპეცსამსახურებს დღეს ყველაზე მეტად ანალიტიკური აზროვნება, ინფორმაციის მიღებისა და მისი დამუშავების უნარჩვევები აკლია. შს ყოფილი მინისტრი რიგაში გამართულ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტსაც შეეხო და განმარტა, რომ საზოგადოებაში არსებული მოლოდინი, უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით, ოპოზიციური ძალების მიერ ხელოვნურად იყო შექმნილი.

რას უწუნებს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ქართულ სპეცსამსახურებს და რატომ თანამშრომლობდა საქართველოს ხელისუფლება პანკისის ოპერაციის დროს უცხოელებთან

— რიგის სამიტი არ იყო უფლებამოსილი, სავიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული საკითხები გადაეწყვიტა. ეს გადამეტებული მოლოდინი საზოგადოებაში ხელოვნურად გაჩნდა, რასაც გარკვეულწილად, ოპოზიციური პარტიების აქტიურობამ შეუწყო ხელი. ხელისუფლებას უფრო დეტალურად უნდა განემარტა, როგორი შინაარსის იქნებოდა ეს სამიტი. თუ ხელისუფლება ამგვარ ტყუილ მოლოდინს არ ჩააქრობს, ეს საკითხი ძალიან პრობლემური იქნება.

— პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, მანანა კობახიძემ განაცხადა, რომ დეკემბერში საქართველომ შესაძლოა უვიზო მიმოსვლა მიიღოს. ამ განცხადების საფუძველი ობიექტური რეალობაა თუ საზოგადოების „დასაიმედებლად“ გაკეთდა?

— აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ალბათ მეტადაა ინფორმირებული. ჩემი მსჯელობა ეფუძნება განვლილ პერიოდს და პირად გამოცდილებას, 90-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული, როცა დავიწყეთ სწრაფვა ევროსტრუქტურებისკენ. ეს პროცესები სწრაფი და მყისიერი არასოდეს ყოფილა, იყო რთული გზა იქამდეც კი, სანამ ევროსაბჭოს წევრები გავხდებოდით. სწორედ ამ გამოცდილებას ვეყრდნობი. ხელისუფლებამ რეალობა უნდა უთხრას საზოგადოებას და ხალხს არ უნდა გაუჩნდეს უსაფუძვლო მოლოდინი. პარალელურად, უკრაინისა და საქართველოს საკითხიც დაკავშირებულია და თუ დეკემბერშიც ვერ მივიღებთ უვიზო მიმოსვლას, არ ნიშნავს, რომ ქვეყანა დაიქცა.

— თქვენი აზრით, რიგის სამიტს საქართველოსთვის პოზიტიური დატვირთვა ჰქონდა?

— სამიტს პოზიტიური დატვირთვა მაინც ჰქონდა. საქართველოს ევროკავშირმა შესაძლოა ფინანსური დახმარება გაუწიოს ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, რაც ჩვენთან არსებული სავალუტო რყევების ფონზე, ძალიან მნიშვნელოვანია. აუცილებლად უნდა გავაგრძელოთ მცდელობა უვიზო მიმოსვლის მისაღებად. შესაძლოა, ვინმე არ დამეთანხმოს, მაგრამ ამ კუთხით ტრაგედიას ვერ ვხედავ. იმ ეკონომიკურ ვითარებაში, რომელშიც ქვეყანაა, კიდევ საკითხავია, რას გვიქადის უვიზო მიმოსვლა. თუ გადავხედავთ აღწერის ბოლო მონაცემებს, შედეგები შემაშფოთებელიც კია. უვიზო მიმოსვლა კარგი იქნება მაშინ, როცა ჩვენი ეკონომიკა სხვა რელსებზე გადავა.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ მუსულმანი ფუნდამენტალისტების რეგიონში გაძლიერება შესაძლოა უვიზო მიმოსვლის შეფერხების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორიც იყოს?

— გეთანხმებით... შეიძლება ხელისუფლებამ ამაზე ნაკლებად ან საერთოდ არ ისაუბროს, მაგრამ ამ მხრივ, უფრო თავისუფალი ვარ და მინდა გითხრათ, რომ ეს ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია. 2002-2005 წლების მასალები ცხადყოფს — რუსეთის სპეცსამსახურები გამუდმებით აპელირებდნენ, რომ საქართველოდან რუსეთის ტერიტორიაზე ტერორისტები და ბოევიკები აღწევდნენ და ეს მუდმივად იყო განხილვის საგანი. რასაკვირველია, ამ თვალსაზრისით ევროპა თავს იზღვევს. გვინდა თუ არა, საქართველო არის დერეფანი, გზაგამტარი და ამიტომაც უვიზო მიმოსვლის მიღება შესაძლოა გაჭიანურდეს.

— როგორც შს ყოფილი მინისტრი, როგორ ფიქრობთ, რომელ კონკრეტულ საკითხში უნდა გააძლიერონ ძალოვანმა უწყებებმა მუშაობა, რათა საქართველოდან სირიაში ახალგაზრდების გადინება შეწყდეს ან შემცირდეს მაინც?

— ეს მხოლოდ საზღვარზე შეშვება-გაშვების კი არა, კომპლექსური საკითხია. თუ გლობალურად მივუდგებით, ჩვენს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან პირდაპირ კავშირშია. როგორც ჩანს, ის შეთავაზებები, რომლებსაც ეს ადამიანები იღებენ, თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისით, მისაღებია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს შესაძლოა იდეურად არ ჰქონდეს ასეთ პროცესში ჩართვის სურვილი. საქართველო, გეოპოლიტიკური მდგომარეობით, ბევრი ქვეყნის სპეცსამსახურების დაინტერესების საგანია. ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები, კომპაქტურად მცხოვრები მუსულმანური მოსახლეობა, ზოგან თითქმის სრულად არაქართული მოსახლეობაც ნიადაგია, სადაც სპეცსამსახურები დასაყრდენს ეძებენ. ეს ქვეყნის გლობალური უსაფრთხოების საკითხია, რომელსაც, როგორც ვთქვი, კომპლექსურად უნდა შევხედოთ. ჩვენ გვგონია, რომ ეროვნული უსაფრთხოება სპეციალური სუბიექტების კომპეტენციაა, მაგრამ ასე არაა. გლობალური უსაფრთხოება ქვეყნის პოლიტიკური სისტემის პრობლემაა და ამ გამოწვევებს ვერ უპასუხებს უსაფრთხოების ცალკეული სუბიექტები. ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენი პოლიტიკური პარტიები დღეს იდეოლოგიურ ხასიათს არ ატარებენ, პერსონიფიცირებულები არიან — ძირითადად დაკავშირებულია კონკრეტული ადამიანების სახელებთან და არა იდეოლოგიასთან, იდეასთან. შესაბამისად, პოლიტიკაც პერსონიფიცირებულია და ეს ჩვენი პოლიტიკური სისტემის ნაკლია. არადა, სახელმწიფო ინსტიტუტები მაშინ ძლიერდება, როცა პოლიტიკური სისტემა ძლიერდება და შესაბამისად, ძლიერდება ეროვნული უსაფრთხოებაც.

— ჩვენი სპეცსამსახურების პროფესიონალიზმი საკმარისია, რომ მათი საქმიანობა წარმატებული იყოს?

> **— ზოგადად, ეს სამსახურები დაკავშირებულია ინტელექტთან. ინტელექტი და ანალიზის უნარი კი ყველაზე მეტად საჭიროა დაზვერვაში. ამ თვალსაზრისით, სასურველია, ჩვენი სპეცსამსახურები იყოს უკეთეს მდგომარეობაში. მხოლოდ კონტრდაზვერვას კი არა, თუნდაც კრიმინალთან მებრძოლ სამსახურებს ვგულისხმობ. ვფიქრობ, ამ მხრივ, სახარბიელო მდგომარეობა ნამდვილად არ გვაქვს. ძალიან კარგი ტექნიკური საშუალებები გვაქვს, მაგრამ ამ სფეროში დაიკარგა შემოქმედებითობა და სერიოზული ანალიტიკა. ამის გარეშე კი, შეუძლებელია. ერთია, მოიპოვო ინფორმაცია და მეორეა, ამ ინფორმაციის შესაბამისი ანალიზი. ადრე ჩვენი სპეცსამსახურების მუშაობით უცხოელი კოლეგები საკმაოდ კმაყოფილები იყვნენ.**

— ადრე, როდის?

— 2002 წელს, როცა პანკისის ანტიკორუფციული ოპერაცია წამოვიწყეთ. შესაძლოა, ამ თემაზე მაშინ ასე ღიად არც მესაუბრა, მაგრამ ვფიქრობ ახლა დასამალი არაფერია — უცხოელ კოლეგებთან ვთანამშრომლობდით და ვცდილობდით, მათი ინტერესები ჩვენ სასარგებლოდ გამოგვეყენებინა. რაც დღეს გვაკლია, ინფორმაციის მოპოვების შემდეგ, მისი გაანალიზების და გადამუშავების უნარჩვევებია.

მანანა კობახიძე იმედოვნებს, რომ წლის ბოლომდე საქართველო უვიზო მიმოსვლას მაინც მიიღებს

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **მანანა კობახიძე** აცხადებს, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე მიღებული დადებითი შეფასებები ნამდვილად იძლევა იმედს, რომ დეკემბერში საქართველო უვიზო მიმოსვლას მიიღებს. ჟურნალისტებთან შეხვედრისას მან ხაზი გაუსვა იმ საკითხებს, რომლებზეც რიგის სამიტზე საქართველომ პოზიტიური შეფასებები მიიღო. მათ შორისაა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით განხორციელებული რეფორმებიც: **„იმედი მაქვს, მომავალი წელი იქნება წარმატებული იმ თვალსაზრისითაც, რომ საქართველო ევროპასთან უვიზო მიმოსვლას მიიღებს და უფრო დაგვაახლოებს იმ დიდ ოჯახთან, რომლისკენაც ასე მივისწრაფვით. ანგარიშში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით არის სერიოზული შეფასება და არ შეიძლება ამასთან მიმართებაში ყურადღება მოვადუნოთ. სამწუხაროდ, ჩვენი ოპონენტები ხშირად უსვამენ ხაზს, რომ კრიმინალმა იმატა და თითქოს დანაშაულებრივი ფონი გაზრდილია. თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ მათი მოსაზრებაა და რეალურ მდგომარეობას არ შეესაბამება. როდესაც ჩვენი ევროპელი კოლეგები აფასებენ ქვეყანაში არსებულ ვითარებას, აცხადებენ, რომ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა არის საკმაოდ მაღალ დონეზე და ამ კუთხით არსებული დავალებები შესრულებულია. აღსანიშნავია ისიც, რომ, როდესაც საუბარია პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და ამ კუთხით ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, ახლო წარსულში ალბათ ვერავინ იფიქრებდა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა ჩვენი ხელისუფლებისთვის ასეთი პრიორიტეტული საკითხი იქნებოდა. დღეს პერსონალურ მონაცემთა დაცვა საკმაოდ მაღალ ხარისხშია აყვანილი. მინდა გითხრათ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტრომ თავის დროზე ძალიან დიდი შრომა გასწია. მოაგვარა პირად დოკუმენტებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები. ეს ყველაფერი ანგარიშში ასახულია და ევროკომისიის წარმომადგენლების საკმაოდ დადებითი შეფასებაც აქვს. ექვსი თვის განმავლობაში პროგრესი ხელშესახებია და ეს ფაქტი სათანადოდ უნდა იყოს დაფასებული“.**

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის განცხადებით, დადებითი შეფასებები საქართველომ კორუფციასთან ბრძოლის კუთხითაც მიიღო, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მუშაობა შეჩერებულია. კობახიძის განმარტებით, ეს არის სფერო, რომლის ამოღებაც დღის წესრიგიდან შეუძლებელია. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ჟურნალისტებთან შეხვედრისას ასევე ხაზი გაუსვა სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებულ ცვლილებებს და განმარტა, რომ დღეს რეფორმების მესამე ეტაპი წარმატებით მიმდინარეობს: **„ბუნებრივია, კორუფციასთან ბრძოლა უნდა გავაგრძელოთ და ეს ჩვენი ყოველდღიური დღის წესრიგის შემადგენელი ნაწილია. ყველაზე განვითარებულ ევროპულ ქვეყანაშიც კი კორუფციასთან ბრძოლა დღის წესრიგიდან არასოდეს იხსნება. აქამდე, არც ერთი ხელისუფლების დროს, ქვეყნის სტრატეგია, არც დოკუმენტის და არც პრიორიტეტის სახით არ არსებობდა. ესეც მეტყველებს იმაზე, რომ ნამდვილად წინ ვართ. ასევე გამოვყოფდი მართლმსაჯულების რეფორმას — ამ კუთხითაც მაღალი შეფასება გვაქვს. ვფიქრობ, მართლმსაჯულების რეფორმები რამდენიმე ეტაპად განხორციელდა და ახლა მესამე ეტაპზე ვართ, რომელსაც ასევე წარმატებული შედეგი ექნება. ხოლო ის დოკუმენტი, რომელიც დაიდო, თვალსაჩინოდ აჩვენებს ქვეყნის პროგრესს, იმასაც — რა გაკეთდა და რა არის კიდევ შესასრულებელი. უარყოფითი შეფასება იქ ნამდვილად არც ერთ დოკუმენტს არ აქვს. გვაქვს მოლოდინი, რომ მომავალი წლიდან ნამდვილად ვისარგებლებთ ვიზალიბერალიზაციით“.**

ცოლთან პაემნის მერე „კაიბიჭი“ „საქათმეში“ გაუშვეს

რა არ აპატიეს პატიმარს „საკამერნიკებმა“

პატიმარი №0578

ადრეც ვთქვით, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყველაზე დაბალ საფეხურზე ე.წ. ქათმები დგანან. მათ, პრაქტიკულად, არაფრის უფლება აქვთ და შავ სამუშაოსაც ისინი ასრულებენ, იქნება ეს საპირფარეშოების დასუფთავება თუ ტერიტორიის დალაგება. „საქათმეში“ უმძიმეს, უპატიებელ დანაშაულებზე ნასამართლევი პირები ხვდებიან, მაგრამ შემთხვევა, რომელიც 2012 წელს რუსთავის №17 დაწესებულებაში მოხდა, უპრეცედენტოა. „საქათმის“ გზას ორი პატიმარი გაუყენეს და ორივე „კაიბიჭის“ სტატუსით სარგებლობდა და „საქათმე“ მას შემდეგ „ერგოთ“, რაც ერთ-ერთს ცოლთან გრძელვადიანი პაემანი ჰქონდა.

„გიო, ასე არ შეიძლება. ორი კვირაა, გრძელვადიანი პაემნების ნება დაგვრთეს და ჯერჯერობით, მხოლოდ აზერბაიჯანელი პატიმრები გადადიან. ეგ იმიტომ, რომ დაბლა პირველად მაგათ კამერას აღებენ და ეგენი ეწერებიან. რამე უნდა მოვიფიქროთ, თორემ აჯანყდება აქ ხალხი“, — პატიმარი №0578 მაყურებლების კამერაში ჩაის წრუპავდა და თან არსებულ პრობლემაზე ესაუბრებოდა.

„მართალი ხარ. თან პირველი არ ხარ, ვინც ეს მითხრა და აზერების მაყურებელს, ჯემოს დაუძახეთ“, — გასცა ბრძანება მაყურებელმა და ათ წუთში კამერაში ჯემო შევიდა.

„ჯემო, მესმის, ყველა მონატრებულია ოჯახის წევრებთან შეხვედრას, მაგრამ დღეში მარტო ცხრა პატიმრის გასვლა შეიძლება, მეათე ოთახი „ქათმებისაა“. აზერი ასზე მეტი ხართ და ხომ ხედავ, ჯერ მარტო თქვენ გადადიხართ. ამოასუნთქე ახლა ეგ შენი ხალხი და დილით სხვები ჩაეწერებიან, არ გამოვა ასე, ხომ ხვდები შენც“, — უთხრა გიომ.

„ვიცი, პრობლემაა ეგ, დღეს „ხიპიშიც“ იყო მაგ თემაზე, ხვალიდან მასე აღარ იქნება“, — დაპირდა ჯემო.

„და კიდევ ერთი, თამაზი ოთხი წელია ზის, წინ კიდევ ოთხი აქვს და მაგას თუ ჩავწერთ, მადლობას გვეტყვის. თან „კაიბიჭია“, თქვენია, ქურდულს სჭირდება, ძმაო“, — ღიმილით თქვა №0578-მა.

თამაზი მ. №0578-ს კამერაში იჯდა, მართლა გულიანი ბიჭი იყო, დაჭრაზე იჯდა და ისიც იმის გამო, რომ მის ცოლს ვიღაცამ რაღაც აკადრა, ამან ვერ მოითმინა და მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, რვა წელი მისცეს.

„თაზო, ხვალ დილით ადგები, ჩახვალ დაბლა და გრძელვადიან პაემანზე ჩაეწერები. აზერებთან „გაიასნებულია“, მაყურებლებთანაც „გაიასნებულია“ და მადლობა არ გინდა, შეგიძლია, უბრალოდ ტაში დამიკრა“, — გაუღიმა №0578-მა.

მეორე დილით თამაზი დაფრინავდა, სახლში დარეკა, გრძელვადიან პაემანზე ჩავეწერეო, ცოლს ახარა და ორ კვირაში რიგმაც მოუწია. იქიდან გადმოსული უბედნიერესი იყო, კამერაში დახტოდა, ისეთი შეგრძნება მქონდა, 24 საათი „სვაბოდაზე“ ვიყავიო და შუადღემაც მოატანა. ბალანდა როგორც წესი უხმაუროდ ჩამოარიგეს და პატიმრები ასევე უხმაუროდ შეუდგნენ ჭამას. თამაზი თითქოს უგემურად ჭამდა, მაგრამ სადღაც შორს იყურებოდა და იღიმოდა.

„ვის უღიმი, ძმა?!“ — ჰკითხა გოგამ.

„ცოლს, გოგა, ცოლს. იცი... მთელი სხეული დავუკოცნე, ისე მყავდა მონატრებული“, — ოცნებებში წასულმა თქვა თამაზმა და სანამ რამეს იტყოდა, №0578-მა გააწყვეტინა — „ჭამე!“.

„მოიცა, მთელი სხეული რას ნიშნავს, ტო?! იქაც აკოცე?!“ — გოგამ მეორე კითხვა დასვა.

„და შენ ვინ გეკითხება, სად ვაკოცე?!“ — აფეთქდა თამაზი.

„ვინ მეკითხება და თუ იქ აკოცე, მაშინ ამ კამერაში ვერ გაჩერდები, ძმაო“, — დაუმარცვლა გოგამ.

„რაა, ბიჭო?! სად ვერ გავჩერდები?!“ — ამის თქმა იყო და თამაზმა ბალანდის თეფში გოგას თავზე წამოაცვა. სანამ პატიმრები აზრზე მოვიდოდნენ, №0578 წამოხტა, თამაზს მოწყვეტით გაარტყა და სკამზე დასვა, გოგას ხელით ანიშნა, „აბაროტი“ არ მისცე, თორემ შენც მოგხვდებაო და მაყურებლებთან წავიდა, თან დაიბარა, ნახევარ საათში მორჩით ჭამას და თქვენც იქ ჩამოეთრიეთო.

„გიო, შენ თუ იცი კუნილინგუსი რა არის?!“ — ჰკითხა მაყურებელს №0578-მა.

„აუ, ამ სიტყვებს სად აძრობ ხოლმე, ძმობას გაფიცებ?! ერთი თვე მოვუნდი სენტიმენტალურის დამახსოვრებას და ისიც მაია ასათიანის პროფილიდან. არ ვიცი ეგ რას ნიშნავს“, — გაუღიმა გიომ, რომელიც სხვა პატიმრების დარად სადილს მიირთმევდა.

„კუნუს ქალის გარესასქესო ორგანოებს ნიშნავს ლათინურად. ლინგო კიდევ ლოკვაა და ამ ორ სიტყვას რომ შეაერთებ, კი ხვდები რა გამოდის“, — გაუღიმა პატიმარმა.

მაყურებელმა პური მაგიდაზე დადო, ლუკმა ნაძალადევად გადაყლაპა და — „რა გინდა?! დესერტს მაყოლებინებ?!“

„ისე, დაიმახსოვრე, დესერტი ქართულად ჩაროზია და მეორეც, ეგ კუნილინგუსი შენი მთავარი პრობლემა გახდება ზუსტად ხუთ წუთში“, — გაუღიმა №0578-მა და კამერაში თამაზი და გოგა შემოვიდნენ. მაყურებელმა თეფში გვერდით გადადო, ჯერ თამაზის და გოგას შეხედა, მერე №0578-ს და მოსასმენად მოემზადა.

„მოკლედ, ეს კაცი იძახის, რომ ცოლს ყველაფერი დაუკოცნა. მერე რა, რომ ცოლია, ამასთან ერთად კამერაში არ გავჩერდები, არ მჭირდება, ვიღაცის ნალოკი ტუჩები ყოველდღე ვნახო“, — პირდაპირ თქვა გოგამ.

თამაზი აშკარად აიჭრა, მაგრამ თავი შეიკავა და რაც შეიძლება მშვიდად თქვა: „არავის საქმე არაა, ჩემს ცოლს სად ვაკოცებ, როდის და საერთოდ, ცოლია და ჩემია და როგორც მინდა, ისე მოვეფერები, ამას ვინ ეკითხება?!“

მაყურებელი აშკარად დაიბნა, ისევ №0578-ს შეხედა, მერე კამერის დანარჩენ წევრებს და ჩუმად თქვა — „ანუ კუნსულინგი გქონდათ?!“

„რა გვქონდა?!“ — ახლა თამაზი გაოცდა.

„კუნილინგუსი, გიო, ჩაიწერე, ასე ადვილად ვერ დაიმახსოვრებ, სენტიმენტალური სიტყვაა თან“, — შეეშველა №0578.

„ჰო, მოკლედ, რაც ამან თქვა, გქონდათ?!“ — ისევ თამაზის მიუბრუნდა მაყურებელი.

„ეგ რა არის?!“ — ისევ გაოცდა თაზო.

„აუ, ამას რომ კაცი ჭკუას ააყოლებს, რა. მოკლედ, ცოლს იქაც ეზასავე?!“ — იკითხა მაყურებელმა და ისეთი სიტყვა გამოიყენა, თაზომ თავი დახარა.

„რა მნიშვნელობა აქვს მაგას?!“ — ჩუმად თქვა მან და...

„ჰოდა, თუ მნიშვნელობა არ აქვს, კამერა მომინახე, სადაც მიგიღებენ და იცხოვრებ და გადადი. აგერ, გოგა თავის კამერაში არ გაჩერებს, სხვები თუ გაგაჩერებენ, მიდი, თუ არა და... „საქათმე“ ძმაო, მარტივად და სწრაფად“, — დაამთავრა საუბარი მაყურებელმა და თეფშს მიუბრუნდა.

დაახლოებით ერთ საათში მთელი ზონა თაზოს ამბავზე საუბრობდა. გაგიკვირდებათ და, არცერთმა არ ისურვა მის გვერდით კამერაში ცხოვრება და საღამოს პატიმარი თამაზ მ. „საქათმის„ გზას გაუყენეს. გოგა ამაყად დააბიჯებდა კამერაში და უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა, მომინდომეს აქ გულაობაო. №0578-მა რამდენჯერმე გააფრთხილა, გეყოფაო და გოგა რომ არ გაჩერდა, ჯერ რბილად წამოარტყა თავში, მერე კი ისეთი შემოჰკრა, ნარს რომ არ დაჯახებოდა, უეჭველი წაიქცეოდა.

„ხვალ შენ წაგიყვან მაყურებელთან და ამას აგახსნევინებ“, — დაიმუქრა გოგა და მეორე დილით მაყურებელთან უკვე №0578 იყო.

„უსამართლოდ დამარტყა, ილახმაჩა“, — გოგამ მაყურებელს გახეთქილი ტუჩიც აჩვენა.

„ტვინი გაბურღა მთელი ღამე, ჯერ თაზოს აგინა, მერე იმის ცოლს, მერე ოჯახს, სად გაიზარდაო და ამოვიდა, რა, ყელში. ჯერ გავაფრთხილე, მერე წამოვარტყი და მერე კი მოგიყვა, რაც მოხდა“, — მშვიდად თქვა №0578-მა.

„ჰოო... მომისმინე, გოგა, მართალი კაცი ხარ შენ, ადი ახლა კამერაში და ამას მე მივხედავ“, — უთხრა მაყურებელმა და გოგა გაუშვა.

„გუშინ რა მითხარი, დესერტს რა ჰქვიაო?!“ — გოგას წასვლის მერე იკითხა მაყურებელმა.

„ჩაროზი“.

„ჰოდა, ორი ფილა ჩაროზი მაქვს, წეღან მომიტანეს აზერებმა და ყავას დავაყოლოთ“, — გაიღიმა მაყურებელმა და შოკოლადის ფილა მაგიდაზე დადო.

„ისე, თაზო არ შეგეცოდა?! რომ არ დაიცავი, ეგ გამიკვირდა“, — ჰკითხა მაყურებელმა.

„ადრეც ჰქონდა მაგას ეგ მოყოლილი, მევასებაო, რა და ისმენდა ხალხი. მაშინ გაუტარეს, ღადაობა ეგონათ, მაგრამ... ვინ რას აკეთებს ცოლთან, იმის მოყოლა რომ დაიწყოს, ნახევარი ზონა „საქათმეში“ გეყოლება გასაშვები“, — ჩუმად თქვა №0578-მა.

„კიდევ კარგი, ცოლი არა მყავს“, — სიხარულით თქვა მაყურებელმა.

„იდიოტი ხარ, გიო, მართლა ნამდვილი იდიოტი ხარ, მაგრამ ქურდულს ღეჭავ დედა ენასავით და... კარგი იდიოტი ხარ შენ“, — გაეცინა №0578-ს.

ვერსიანიუსი

შსს-მ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს და ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი როინ ქ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა, მიმდინარე წლის 25 მაისს, დაახლოებით 17:00 საათზე, თბილისში, ნუცუბიძის მე-3 პლატოს მე-12 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკებისას ცივი იარაღით გულმკერდის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა 1996 წელს დაბადებულ ბეგლარ მ-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში თბილისში დააკავეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრა ჩატარდა

შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი შალვა ენუქიძე და დეპარტამენტის წარმომადგენლები ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის რიგით 55-ე შეხვედრას დაესწრნენ. მხარეებმა ისაუბრეს ინციდენტებზე, რომელიც ამ ერთი თვის განმავლობაში მოხდა. საუბარი ასევე შეეხო საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ აღმართული მავთულხლართებისა და რკინის ღობეებით გამოწვეულ პრობლემებს.

შეხვედრაზე განიხილეს ბოლო პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობის დაკავების ფაქტები, რამდენიმე თვის წინ ოკუპირებული ახალგორის მკვიდრის – დავით ბაშარულის გარდაცვალების ფაქტზე რუსეთის ექსპერტიზის დასკვნის გადმოცემის საკითხი, ასევე რომან შიტიკოვის და გრიგორი ნალბანდოვის საკითხები.

„ვერსიანიუსო“

შსს-მ ჩხოროწყუს რაიონში მომხდარი განზრახ მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული გია ს. განზრახ მკვლელობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ეჭვიანობის ნიადაგზე, მეუღლეს — 1981 წელს დაბადებულ ირა ფ-ს ცივი იარაღით ყელის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში, შემთხვევის ადგილზე დააკავეს. დანაშაულის იარაღი — დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ოჯახში ძალადობის ნიადაგზე განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 11 პრიმა-108-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

მაკა ლომაძე
555-27-95-13

საქართველოში საერთაშორისო მიმების ცენტრი გაიხსნება

რა შედეგებით დასრულდა პანტომიმის ფესტივალი და რას გააკეთებს ცენტრი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის

პანტომიმა დუმილის ხელოვნებაა თეატრში. ეს სრულიად განსხვავებული და სპეციფიკური ჟანრი უმაღლეს სამსახიობო ოსტატობას მოითხოვს, რადგან აქ დატვირთვა ჟესტებსა და პლასტიკაზე გადადის. პანტომიმა, ზოგადად, თეატრალური ხელოვნების საწყის საფეხურად ითვლება. ქართული პანტომიმა კი სხვა ფენომენია — ქართული ტრაგიკული ისტორიიდან გამომდინარე, ის ვერც იქნებოდა მხოლოდ სანახაობრივი და გასართობი ჟანრის წარმოდგენა. მიმები უდიდესი იმპროვიზატორები არიან. პანტომიმა ის შემთხვევაა, როცა დუმილს ოქროს ფასი აქვს, სიტყვები კი ზედმეტია. ალბათ, ამ უშუალობის და ვერბალური სირთულის არარსებობის გამო, ეს ჟანრი განსაკუთრებით პოპულარული იყო უბრალო ხალხში. 13-22 მაისს საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრში პანტომიმის საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა, რომელიც ცოცხალი ლეგენდის, მსოფლიოში აღიარებული მიმის, საქართველოში ამ ჟანრის და ზოგადად, განსხვავებული ქართული პანტომიმის დამაარსებლის, ღვაწლმოსილი მსახიობისა და რეჟისორის, ამირან შალიკაშვილის სახელს ატარებს. იდეის მთავარი სტიმული კი საქართველოს პანტომიმის თეატრის 50-ე იუბილეა. „ვერსიასთან“ საუბრისას, ამირან შალიკაშვილი უმცროსი, მსახიობი და ფესტივალის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ფესტივალი წელს პირველად ჩატარდა და ყოველწლიურ ხასიათს მიიღებს. გახსნის თარიღად კი სიმბოლურად შეარჩიეს 13 მაისი – თეატრის დაბადების დღე.

— ბატონო ამირან, რა პრინციპით აარჩიეთ პანტომიმის ფესტივალის მონაწილეები?

— შერჩევის პროცესისთვის კონკურსის სახე არ მიგვიცია. მთავარი იყო, მამაჩემის მოსწავლეები მაქსიმალურად წარმოგვედგინა. რამდენიმე სხვა დასმაც გამოთქვა მონაწილეობის სურვილი და ისინიც ჩავსვით. სტუმრები ჩამოვიდნენ ევროპიდან, იაპონიიდან... ღონისძიება, რომლის ორგანიზატორებიც ჩვენ ვართ, მერიამ დააფინანსა. წინამორბედებისგან განსხვავებით, დედაქალაქის დღევანდელი ხელისუფლება მხარში გვიდგას. უგულავას დროს, შენობა გასხვისდა. ნარმანია კი, ჯერ მოსულიც არ იყო, თანადგომას და ყურადღებას დაგვპირდა და ასრულებენ კიდეც. გასხვისების პრობლემის მოგვარებას შესაძლოა 1-2 წელიც კი არ ეყოს, მაგრამ ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები იდგმება. ასე რომ, ყველაფერი კარგად იქნება!

— ამბობთ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოვიდნენ სტუმრები. განსაკუთრებით ვის გამოყოფდით?

— იომი გვყავდა სტუმრად გერმანიიდან – თვით მარსელ მარსოს მოწაფე. განსაკუთრებული პიროვნებაა. ყრუ-მუნჯი გახლავთ და 40 წელია ამ სფეროში მოღვაწეობს. მას მამაჩემი 30 წლის წინ შეხვდა გერმანიაში. ადრეც იყო ჩამოსული. მეორე ვიზიტი კი, ჩვენი ფესტივალის ფარგლებში შედგა. იომმა მარსელის რამდენიმე ნოველა ითამაშა. ჩვენი მიზანი იყო, ქართველი მაყურებლისთვის გვეჩვენებინა, რა განსხვავებაა უცხოურ და ქართულ პანტომიმას შორის. ჩვენ გვაქვს ძლიერი, თვითმყოფადი პანტომიმის სკოლა და მას ტრაგიკულ-დრამატული პანტომიმა შეიძლება ვუწოდოთ. ევროპული პანტომიმა კი უფრო ცეკვასა და სანახაობაზეა ფოკუსირებული, თუმცა ეს მარსელ მარსოს არ ეხება – იგი ტრაგიკული პანტომიმისტი იყო, მაგრამ უფრო ინდივიდუალურ სტილს მისდევდა. მამაჩემის მუშაობის სტილი უფრო ჯგუფებისა და ანსამბლების ჩამოყალიბებაში გამოიხატება. მარსოსაც ჰქონდა რამდენიმე მასიური დადგმა, მაგრამ უმეტესად მაინც მონოსპექტაკლები სჩვეოდა. მამამ უფრო დიდი თეატრი ჩამოაყალიბა ისევე, როგორც პანტომიმის ფაკულტეტი, სტუდიები, ქუთაისის დასი, ბათუმის ფაკულტეტი, რომელიც დროებით შეჩერებულია და მალე აღდგება... ფესტივალზე ასევე ჩამოვიდა კაბუკის თეატრის მსახიობი იაპონიიდან. განსაკუთრებით საინტერესო პერფორმანსი ჰქონდა ამ თეატრის მსახიობს მაკოტო ინოუეს. გამორჩეული იყო მისი ფსიქოლოგიური და გრძნობებზე აქცენტირებული მასტერ-კლასიც.

სომხეთის პანტომიმის სახელმწიფო თეატრიც გვსტუმრობდა. სერბეთიდან იყო საერთაშორისო მიმების ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელმაც ასევე ჩაატარა მასტერ-კლასი. მისი ჩამოსვლის მიზანი კი ისაა, საქართველოში ამ ორგანიზაციის ფილიალი გაიხსნას.

— კონკრეტულად რა საქმიანობით იქნება დაკავებული მიმების საერთაშორისო ორგანიზაციის ფილიალი?

— საქველმოქმედო ხასიათიც ექნება. ჩვენ დავიწყებთ მუშაობას ყრუ-მუნჯებთან, უნარშეზღუდულ ბავშვებთან, რათა მათ ერთმანეთთან პანტომიმის ენით ურთიერთობა შეძლონ. დიდი მარსელ მარსო ხშირად იყენებდა ამ მიდგომას. ჩვენც არ დავკარგავთ ამ ტრადიციას. პირიქით, უფრო გავაღრმავებთ. გეგმაშია, ასეთი ბავშვები სტუდიაშიც ავიყვანოთ და სპექტაკლებშიც დავაკავოთ; ასევე ავიყვანთ სტუდენტებად თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პანტომიმის ფაკულტეტზე. საერთაშორისო ცენტრს სტანდარტები სჭირდება. სხვაგვარად, ამ ორგანიზაციის წევრები ვერ გავხდებით. ეს შენობა რომც დავიბრუნოთ და გარემონტდეს, ჩვენი პატარა სცენა მაინც არ იქნება საკმარისი.

— ანუ, მიუხედავად იმისა, რომ ამ შენობის დაბრუნება გსურთ, სპონსორი თუ გამოჩნდა, სხვა შენობაში გადასვლაზეც არ იტყვით უარს?

— თეატრი უნდა განვითარდეს. 70-კაციანი დარბაზი აღარ გვყოფნის. ახალი კადრები გვყავს, დასი იზრდება. დღეს 27 მსახიობი გვყავს. ისე, სცენა თავიდანვე პატარა იყო ჩვენთვის, რადგან მამა, ამირან შალიკაშვილი მასშტაბურ სპექტაკლებს დგამს, 20-25 მსახიობის მონაწილეობით. მარჯანიშვილის თეატრი პრემიერებზე ძალიან დიდ შეღავათს გვიკეთებს, მაგრამ იქ სისტემატურად ხომ ვერ ვითამაშებთ? სპონსორებს ვეძებთ. თუ საერთაშორისო მიმების ცენტრი გაიხსნება, გრანტების მოპოვებაც იქნება შესაძლებელი და უფრო განვითარდებით, მეტი პერსპექტივა გამოჩნდება.

— პანტომიმის ფესტივალზე, რაიმე ლაიტმოტივი გქონდათ შერჩეული თუ თემა თავისუფალი იყო?

— თემატიკის მხრივ სრული თავისუფლება გვქონდა. იყო ერთი-ორი პრემიერაც.

— ადგილობრივი დასებიდან ვინ იყო წარმოდგენილი?

— მოძრაობის თეატრი, სხვენის თეატრი, ქუთაისის პანტომიმის თეატრი, ჩვენი თეატრიდან — ლუკა ჩხაიძის, ჩემი ძმის, დათო შალიკაშვილის, სპექტაკლები წარმოვადგინეთ და რა თქმა უნდა, მამაჩემის დადგმები. ფესტივალი ამირან შალიკაშვილის საღამოთი დაიხურა. ასევე ჩატარდა დიპლომების გადაცემის ცერემონიალი. დიპლომები საერთაშორისო მიმების ცენტრმა ჩამოიტანა. ფინალში შექსპირის სონეტები იყო მამაჩემის მონაწილეობით. ასევე — რამდენიმე ნოველა.

ვერსიანიუსი

შსს-მ დიდი ოდენობით ყალბი ფული ამოიღო

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული, საქართველოს მოქალაქე გოგა ჩ. დიდი ოდენობით ყალბი ფულის შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით სასაზღვრო გამშვებ პუნქტ „წითელ ხიდზე“ დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას 194 400 აშშ დოლარის ოდენობის ყალბი კუპიურები ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ყალბი ფულის შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს ქობულეთის რაიონული სამმართველოს ჩაქვის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1977 წელს დაბადებული ზაურ მ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბანში დააკავეს.

სამართალდამცველებმა სოფელ ჩაისუბანში, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის და დამხმარე სათავსოს ჩხრეკისას, სხვადასხვა ტიპის იარაღისთვის განკუთვნილი 2784 საბრძოლო ვაზნა, „ა-კა-ემ“-ის და „ა-კა 74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 25 ავტომატის მჭიდი, სხვადასხვა ტიპის 4 ხელყუმბარა, 2 ხიშტ-დანა და „ვალტერის“ ტიპის პისტოლეტი ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული იარაღი და საბრძოლო მასალა სასროლად ვარგისია. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

საქართველოში მიწისძვრა მოხდა



მიწისქვეშა ბიძგები 26 მაისს 01:20 საათზე დაფიქსირდა.

სეისმოლოგების ინფორმაციით, ეპიცენტრი აზერბაიჯანში, საქართველოს საზღვრიდან 56 კილომენტრში იყო. ეპიცენტრში ბიძგების სიმძლავრე 4,7-ს მგანიტუდას აღწევდა. მიწისძვრა თბილისშიც იგრძნობოდა.

დაშავებულთა და დაზარალებულთა შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

„პირველი“

ქედის მოსახლეობა საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებას ითხოვს

დაბაში ფეკალური მასების სუნი დგას — რაში დაიხარჯა მილიონ ლარზე მეტი

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

საკანალიზაციო სისტემის მოსაწესრიგებლად ქედის მუნიციპალიტეტში შარშან 1 199 900 ლარი დაიხარჯა. მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებს შორის ქედაში ყველაზე დიდი თანხა სწორედ კანალიზაციის გამართვას მოხმარდა, მდინარეში ისევ ნახევრადგაწმენდილი წყალი ჩაედინება. დაბაში, ცხრა აპრილისა და რუსთაველის ქუჩების მიმდებარედ, იქ, სადაც წყლისგან ფეკალური მასის გამწმენდი სპეციალური შენობები მოეწყო, კანალიზაციის მძაფრი სუნი დგას. გამგეობაში აცხადებენ, რომ სალექარები მუშაობს, ანუ მდინარეში გაწმენდილი წყალი ჩაედინება.

საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება — მოქმედი გამგებლის, დავით დუმბაძის ერთ-ერთი დაპირება იყო, რომელიც 2014 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ გასცა. მართლაც, გამგებლად დავით დუმბაძის არჩევის შემდეგ საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებაზე მილიონზე მეტი ლარი დაიხარჯა — დაბა ქედაში, აწჰესის დასახლებაში, ზვარესა და ცხმორისის თემების ცენტრებში, საკანალიზაციო სისტემის მოსაწესრიგებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან შარშან 1 199 900 გამოიყო. ჩატარდა სამუშაოებიც, მაგრამ ამის მიუხედავად, დაბა ქედაში კანალიზაციის სუნი ისევ დგას. ქედის მუნიციპალიტეტმა ქსელის მშენებლობაზე ხელშეკრულება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანია „გზასთან“ გააფორმა. სატენდერო პირობების მიხედვით, კომპანიას დაბა ქედასა და აწჰესში საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ზვარესა და ცხმორისის თემების ცენტრებში კი, კანალიზაციის რეაბილიტაცია უნდა განეხორციელებინა. ამჟამად, დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩაზე, ღია მდგომარეობაშია სპეციალური ავზი, რომელშიც სალექარებიდან გამომდინარე წყალი ჩაედინება და საიდანაც წყალი გრუნტში უნდა ჩაიღვაროს. რუსთაველის ქუჩისგან განსხვავებით, 9 აპრილის ქუჩაზე უარესი მდგომარეობაა — სალექარიდან გამოსული წყალი პირდაპირ მდინარეში ჩაედინება. ყველაზე მძაფრი სუნი და ანტისანიტარიაც სწორედ ამ მონაკვეთშია. როგორ და რა პროექტით „გაკეთდა“ ქედაში საკანალიზაციო სისტემა? — ამ და სხვა საკითხებზე ინფორმაციის წარმოდგენა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12-მა დეპუტატმა მოითხოვა: მათ წერილობითი განცხადებით საკრებულოს 24 აპრილს მიმართეს. მიუხედავად იმისა, რომ ქედის საკრებულომ სხდომა 13 მაისს ჩაატარა, თუმცა საკითხი საკრებულოს არ განუხილავს. დეპუტატები საკანალიზაციო სისტემაზე გახარჯული თანხისა და შესრულებული სამუშაოების შესახებ დეტალურ ინფორმაციას ამ დრომდე ელიან. ქედის საკრებულოს წევრი და დაბაში მცხოვრები **უშანგი ბერიძე** შესრულებული სამუშაოების ხარვეზებზე საუბრობს და ამბობს, რომ პრობლემები არამარტო დაბაში, აწჰესსა და ცხმორისშიცაა: **„არსებული საკანალიზაციო სისტემა დიდ პრობლემას შექმნის — სალექარები დასახლებულ პუნქტებთან ახლოს არის, დაუსრულებელია სამუშაოები, წყალი არ იფილტრება, რის გამოც დგას სუნი. ცხრა აპრილის ქუჩაზე კი, წყალი საერთოდ არ იფილტრება და ფეკალური მასა პირდაპირ მდინარეში ჩაედინება. პროექტით, ჯერ უნდა გაიფილტროს წყალი და მერე უნდა ჩავიდეს მდინარეში, თუმცა აქ არ სრულდება ტექნოლოგიური პროცესი და პირდაპირ იღვრება. საკრებულოს 12-მა დეპუტატმა მოვითხოვეთ წარმოგვიდგინონ შესრულებული სამუშაოს დეტალური ინფორმაცია, რა გაკეთდა და როგორ, რატომ არის ასეთი საშინელი მდგომარეობა, ძალიან უხარისხოდ შესრულებულია სამუშაოები, თანხა კი ბევრია დახარჯული“.**

„ჩემს სოფელში, ცხმორისში, თითქოს გაკეთდა კანალიზაცია, მხოლოდ სკოლისა და საბავშვო ბაღისთვის. იქ არის სასადილოები, საერთო საპირფარეშოები კანალიზაციის გარეშე. ვნახავთ, რა ანგარიშს წარმოგვიდგენს გამგეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოვითხოვთ, შესრულებული სამუშაოები აუდიტმა შეისწავლოს“, — აცხადებს ქედის საკრებულოს წევრი ნაციონალური მოძრაობიდან **ვაჟა ბოლქვაძე**.

მიღება-ჩაბარების აქტი მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შემსრულებელ კომპანიას შორის შარშან გაფორმდა — დასრულებული ობიექტი ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მოქმედი სამუშაოების მიმღებმა კომისიამ შარშან ჩაიბარა. იყო თუ არა სამუშაოები ხარისხიანად შესრულებული და შეისწავლა თუ არა კომისიამ ობიექტის მდგომარეობა, ვიდრე ჩაიბარებდა? — ამ კითხვებით მიმღები კომისიის თავმჯდომარეს, გურამ ბერიძეს მივმართეთ, რომელმაც კომენტარის გაკეთება არ ისურვა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსთან გადაგვამისამართა. ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი **სულიკო ბოლქვაძეა.** იგი შესრულებული სამუშაოებით კმაყოფილია. ამბობს, რომ კომპანიამ ტენდერით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა და საკანალიზაციო სისტემა პროექტის მიხედვით მოაწყო. აქვე დასძენს, რომ კომპანიას შესრულებულ სამუშაოებზე სამწლიანი საგარანტიო ვალდებულება აქვს: **„სამუშაოები პროექტის მიხედვით სრულყოფილად შესრულდა. თუ რაიმე სახის ხარვეზი აღმოჩნდება, მშენებელს სამწლიანი გარანტია აქვს და ვალდებულია, ამ ხნის განმავლობაში პრობლემა გამოასწოროს. მოეწყო სალექარები დაბაში, აწჰესში, ზვარესა და ცხმორისის ცენტრებში, სალექარებში შესული კანალიზაციის წყალი ფეკალური მასისგან იწმინდება და გრუნტში ჩაედინება, მხოლოდ ერთ შემთხვევაში, ცხრა აპრილის ქუჩაზე ამოვიდა წყალი ზემოთ, რაც პროექტით იყო გათვლილი. გზის ქვემოთ საჭიროა დამატებითი ჭის მოწყობა, სადაც წყალი ჩაიღვრება, წინააღმდეგ შემთხვევაში სალექარიდან გამოსული წყალი უნდა გადავიდეს ქვიშიან გრუნტში, ანუ წყალი ზედაპირზე არ უნდა ამოვიდეს. რაც შეეხება სუნს — ეს რომ არ იყოს, წყალი უნდა დაიქლოროს, რაც პროექტში ვერ იქნებოდა, ეს შიდასამუშაოა“.** კითხვაზე, მიმართა თუ არა ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მშენებელ კომპანიას ხარვეზის აღმოსაფხვრელად, სულიკო ბოლქვაძე ამგვარად პასუხობს — ამ ინფორმაციას ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ფლობს. თავის მხრივ, ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა, **სულიკო სურმანიძემ** მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსთან გადაგვამისამართა. საკანალიზაციო სისტემა ქედაში ინდმეწარმე რევაზ დიდმანიძის მიერ დამუშავებული პროექტით გაკეთდა. პროექტის შედგენაზე ქედის გამგეობას ელექტრონული ტენდერი არ გამოუცხადებია, ინდმეწარმე ქედის გამგეობამ კონკურსით გამოავლინა. შეესაბამებოდა თუ არა არსებულ გეოგრაფიულ არეალს პროექტი, რომლითაც ქედაში საკანალიზაციო სისტემა უნდა გაკეთებულიყო? — პროექტის ავტორი **რევაზ დიდმანიძე** ამბობს, რომ შესრულებული სამუშაო სრულყოფილია და დასძენს, რომ ავზი, სადაც სალექარებიდან გამოსული წყალი ჩაედინება, ღია არ უნდა იყოს: **„სადეზინფექციო შენობები ორ ადგილზე მოეწყო. ამ შენობებში უნდა დამუშავდეს წყალი საბოლოოდ, რაც ამ ეტაპზე არ ხდება. სადეზინფექციო ხსნარი ქლორით არ უნდა დამზადდეს, რადგან შენობები დასახლებულ პუნქტთან ახლოს არის და საშიშია. გარდა ამისა, მავნეა გარემოსთვის. არსებობს სპეციალური მარილი, რითაც უნდა ჩატარდეს დეზინფექცია. ჩვენ ეს მითითება მივეცით ქედის გამგეობას. რაც შეეხება პროექტს — წყლის საბოლოო დეზინფექციამდე სუნი ბუნებრივია იქნება. რაც შეეხება ღია ჭას, ფილა უნდა დაეხურათ, მაგრამ თუ არ არის გადახურული, ისე გადახურონ, საჭიროების შემთხვევაში მისი მოხსნა-გასუფთავება შესაძლებელი იყოს“.**

არაერთი მცდელობის მიუხედავად, „ვერსიამ“ მშენებელი კომპანიის დირექტორის კომენტარის ჩაწერა ვერ მოახერხა. შპს „გზას“ დირექტორმა მალხაზ დუმბაძემ ტელეფონი მას შემდეგ გამორთო, რაც ვკითხეთ, შეასრულა თუ არა ტენდერით ნაკისრი ვალდებულება ქედის მუნიციპალიტეტში.

ირანელი შეფ-მზარეულის „ათას ერთი“ რეცეპტი

რატომ მუშაობს თბილისში შაჰრამ შემირანი და როგორია მისი თვალით დანახული საქართველო

მაკა ლომაძე
555-27-95-13

საქართველოში არაერთი უცხოელია დასაქმებული. „ვერსიის“ დღევანდელი რესპონდენტი მათგან ერთ-ერთია. ირანელი შაჰრამ შემირანი პროფესიონალი მზარეულია. საქართველო მისთვის პირველი უცხო ქვეყანაა, სადაც ცხოვრობს და მუშაობს. შაჰრამ შემირანი რესტორანში „ათას ერთი ღამე“, ირანულის გარდა, ქართულ კერძებსაც ამზადებს, ოღონდ თავისებურად — ირანული არომატით. ქართული ცუდად იცის, სამაგიეროდ, კარგად ისწავლა ჩვენი კერძების მომზადება.

— ბატონო შაჰრამ, როდის და რატომ ჩამოხვედით საქართველოში?

— თეირანში ვცხოვრობდი და ვმუშაობდი. ჩემი ერთ-ერთი მეგობარი აქ ცხოვრობდა. საქართველოზე მისგან ბევრი მესმოდა. დავინტერესდი, რადგან მანამდე არც კი ვიცოდი, სად მდებარეობდა ეს ქვეყანა. ჩამოვედი და სამუშაოდ დავრჩი. მომწონს აქაურობა. ახალი რეგულაციების შემოღებამდე, უფრო გახსნილები იყავით და მეტი ირანელიც ჩამოდიოდა, ახლა ცოტა გართულდა. თქვენი ქვეყანა ნამდვილად ლამაზია — კარგი ჰავა, სუფთა ჰაერი და წყალი გაქვთ. ხალხი ძალიან მეგობრულია, უცხოელს, კომუნიკაციისას არანაირი პრობლემა არ შემქმნია და ადაპტაციაც ადვილად გავიარე. შეიძლება მე გამიმართლა, არ ვიცი, ჩემ შემთხვევაში ნამდვილად ასეა.

— რა არის ირანული სამზარეულოს მთავარი საიდუმლო?

— ყველა ქვეყნის სამზარეულოს თავისი საიდუმლო აქვს. ქართულ „ოჯახურს“ მე სხვანაირად ვამზადებ ისევე, როგორც „შქმერულს“. ირანი უდიდესი ქვეყანაა და ამიტომაც, იქ ძალიან ბევრი განსხვავებული კულტურა იყრის თავს. დარწმუნებული ვარ, იცით ირანის ერთ-ერთი ქალაქი ფერეიდანი, სადაც ქართველები ცხოვრობენ. მე კი, აქ ჩამოსვლამდე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. იმის თქმა მინდა, რომ სხვადასხვა ნაწილში განსხვავებული კერძები გვაქვს და მიჭირს კონკრეტულად საუბარი.

— რა არის ჩვენი სამზარეულოების მთავარი სხვაობა და თუ ჰგავს რაიმეთი ერთმანეთს ქართული და ირანული კერძები?

— ეს ორი სამზარეულო ერთმანეთისგან მკვეთრად არ განსხვავდება. ქაბაბი ჩვენია, მაგრამ თქვენ ცოტა სხვაგვარად ამზადებთ. აი, ხინკლისა და ხაჭაპურის მსგავსი ირანულ კულინარიაში ნამდვილად არაფერი შეგხვდებათ. ბევრი სხვა კერძი კი, ჰგავს ერთმანეთს, მხოლოდ არომატი აქვთ სხვა. ჩვენ ცხარე გვიყვარს, თუმცა ირანული სამზარეულო პაკისტანურსა და ინდურს ნამდვილად ჩამოუვარდება — ნაკლებად მძაფრია. ჩვენი სანელებლების სიცხარე, ქართულისას უტოლდება. ირანში, ყველას უყვარს ლიმონის თანხლებით კერძების დაგემოვნება — ლიმონის წვენს სალათებსაც ვასხამთ და ნებისმიერ სხვა კერძშიც. ასეთი რამ კი აქ არ შემიმჩნევია.

— ირანული კერძების მოსამზადებლად ინგრედიენტები თავად ჩამოგაქვთ?

— დიახ, ბევრი რამ ჩამოგვაქვს. მაგალითად, ზაფრანა აქაც არის, მაგრამ სულ სხვანაირია, ამიტომ მას არ ვიყენებ და ირანულს ვხმარობ. რაც შეეხება მწვანილსა და ბოსტნეულს, ირანი ამ მხრივ საქართველოზე მდიდარია.

— რომელი ქართული კერძი გიყვართ გამორჩეულად?

— ბევრი გემრიელი კერძი გაქვთ, მაგრამ ჩემი ფავორიტი მაინც ღორის მწვადია.

— კულინარია ქვეყნის კულტურის ნაწილია. თქვენი შთაბეჭდილებაც, როგორც მივხვდი, ქართველებზე სწორედ სამზარეულოდან დაიწყო...

— საქართველოში, ბევრს ვმოგზაურობ. ყველა კუთხე განსხვავებულია, მათ შორის, კერძებითაც. ასეა ირანშიც. ყველა რეგიონს თავისი სამზარეულო აქვს. ჩემთვის საინტერესო აღმოჩენა იყო, რომ ყველა ქართველს უყვარს ყველი. ჩვენთან ასე არაა და არც სხვა ქვეყნებში შემინიშნავს ყველის ასეთი სიყვარული. საფრანგეთშიც კი, რომელიც ყველის ქვეყანაა, ასე გაგიჟებით მაინც არ უყვართ. თქვენ, ყველს მიირთმევთ დღის ნებისმიერ მონაკვეთში, ასევე ყველა შეგიძლიათ ნებისმიერ კერძს მიაყოლოთ.

— ფუნდამენტალური კულტურის სახელმწიფოს, ირანს, სამზარეულოც კონსერვატიული აქვს თუ მაინც განიცდის ცვლილებებს?

— მოდერნიზაცია ჩვენც გვეხება და ახალ-ახალი კერძები ჩნდება ირანულ მენიუში. ირანელებს ეს უხარიათ, რადგან უყვართ ახალი გემოს აღმოჩენა. ქართველებს, პირიქით, როცა რაღაც ახალს შესთავაზებ, ეშინიათ და ხშირად არ აგემოვნებენ. ირანში კი, მაგალითად, კასაბლანკური რესტორანი რომ გაიხსნას, ყველა მიდის და ერთი სული აქვთ, როდის დააგემოვნებენ. ჩვენთანაც, უმეტესად, ტურისტები შემოდიან, ქართველები — იშვიათად. ვცდილობ, გავასინჯო ჩვენი კერძები, მაგრამ მიჭირს მათი დაყოლიება, თორემ თუ დამთანხმდნენ, იცოცხლე, მერე მოსწონთ. აი, ქართველის დახასიათებაც გამომივიდა — ცვლილებებს გაურბიან. ის კი არა, ჩვენთანაც თუ ქართველი შემოდის, ისევ ქართულ კერძს მიირთმევს. ეს ძალიან უცნაური და გასაკვირია. ჩვენ აქ მხოლოდ საქონლის ხორცი გვაქვს, რადგან ღორის ხორცს ირანელები არ მიირთმევენ. 90%-ს გასინჯულიც არ აქვს. ღვინოსა და არაყს ზოგიერთი კი სვამს.

— სხვა ტრადიციებზე რას იტყვით? ბათუმში, ირანის საკონსულოსთან, თაკარა მზეში, ირანელი ქალები ჩაფუთნულები დადიოდნენ...

— კონსულს ევალება, ასე ჩაიცვას. ირანში კი, ჩვენს ქალებს მხოლოდ პლაში აცვიათ, თავზე — თავსაფრები. სახე დაფარული არ აქვთ, პლაჟზეც შეუძლიათ საცურაო კოსტიუმით გასვლა, ოღონდ, ქალებისთვის ცალკე პლაჟია. ბევრი შეზღუდვა არ არსებობს. თავსაბურავიც მას ახურავს, ვისაც უნდა.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

— ვმოგზაურობ. ვიყავი ქუთაისში, სამეგრელოში, ანანურში... ურთიერთობიდან ვსწავლობ ენას, თუმცა ძალიან ძნელია და განსხვავებული. ლამაზი ქვეყანაა, მაგრამ მეტი ბიზნეს-პოტენციალი გაგაჩნიათ. აქ ყველაფერი „ოქროსია“. უნდა ამუშავდეს ფაბრიკა-ქარხნები, განვითარდეს სოფლის მეურნეობა. ამის პოტენციალი გაქვთ, მაგრამ ყველაზე ძალიან მიკვირს, რომ სოფლებში ლამის ყველა ეზო ცარიელია.

1. ალპინისტის ფეხსაცმელი
2. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში
3. თავის და ტანის შემაერთებელი
4. სამაგიდო თამაში
5. ძაბრისებრ ჩაღრმავება ვულკანის ყელზე
6. იგივეა, რაც მარაგი
7. პომიდვრის საწებელი
8. მოსაწყენი, ერთფეროვანი სამუშაო
9. საკოლექციო მარკების ალბომი
10. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება
11. ბურკინა-ფასოს დედაქალაქი
12. კომპიუტერის „თაგვი“
13. ასტრონომიული კუთხე
14. ცეცხლის მნათი ნაწილი
15. (ძვ) სურნელოვანი ნელსაცხებელი
16. არამესლიმანთა ფანატიკურად მოძულე
17. კატის ნებიერი ხმიანობა
18. ქართ. ვაზის უძველესი ჯიში
19. სხვისი ბავშვების გამზრდელი
20. ანტილოპას სახეობა
21. ველური კომში
22. ცხენის ფეხზე დასაკრავი რკინა
23. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში
24. ეგრაელი შვიდსანთელა
25. საგანთა ჩამონათვალი
26. შაქრის შემცვლელი
27. ჯეიმს ჯოისის რომანი
28. ქრისტ. ბაზილიკის წინგამოწეული ნაწილი
29. მდინარის დატოტვილი შესართავი
30. ამერიკელი მომღერალი დაიანა ...
31. ჭიდაობის სახეობა
32. ესპანელი ფეხბურთელი
33. სირაქლემას მსგავსი ფრინველი
34. ზურიკელა ვამალომიძის ძაღლი
35. ეგრაელთა წინამძღოლი
36. კამათი, პაექრობა
37. ადვილი, მარტივი
38. ქართული სადაზღვევო კომპანია
39. (ძვ.) ქვეყანა, მსოფლიო
40. მუქი ლურჯი საღებავი ნივთიერება
41. ლორად გამოყვანილი თევზის ნაჭერი
42. ჰავაის დედაქალაქი
43. იუდეველთა უზენაესი ღმერთი
44. წმინდა ნინოს დედა
45. დათვის ნაშიერი
46. მზის ამოსვლა, განთიადი
47. დაბალი ბუსუსები ქსოვილზე
48. კუნძული იაპონიის ზღვაში
49. მუსიკ. გამის II ნოტი
50. ცხოველის წინგამოწეული კბილი
51. მიწაში ამოთხრილი ადგილი
52. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
53. ჩეხეთის დედაქალაქი
54. ბრაზილიის მეგაპოლისი სან-...
55. პროფილაქტიკური სამედიცინო პროცედურა
56. ფასიანი ქაღალდების გამოშვება
57. ბერძნული ანბანის II ასო
58. კიმონოს შესაკრავი ქამარი
59. ნახევრად ძვირფასი ქვა

კიბოს დაბინძურებული ჰაერი ინვევს

დაავადების შემსწავლელი საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტები აცხადებენ, რომ ადამიანებში ონკოლოგიურ დაავადებათა წარმოშობის ძირითადი მიზეზი დაბინძურებული ჰაერია და სპეციალისტების განკარგულებაში საკმაოდ „წონიანი“ მტკიცებულებებია იმისა, რომ სწორედ დაბინძურებული ჰაერია ფილტვებისა და შარდის ბუშტის კიბოს მიზეზი. სააგენტოს სწავლულებმა მონაცემების გაანალიზება 2010 წლიდან დაიწყეს და 223 ათას შემთხვევაში მათი ვარაუდი დადასტურდა. ექსპერტები სამედიცინო კვლევებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ატარებდნენ, რამაც საშუალება მისცა, ფილტვების ონკოლოგიასა და დაბინძურებულ ჰაერს შორის პირდაპირი კავშირი აღმოეჩინათ და ეს უკანასკნელი კანცეროგენების სიაში შეიყვანეს. სპეციალისტების განცხადებით, ამ მხრივ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა ჩინეთსა და ინდოეთშია. ევროპის ქვეყნებს შორის, დაბინძურებით გამონვეული საფრთხე ბულგარეთსა და პოლონეთს ემუქრება, დიდი რისკის ქვეშაა საფრანგეთიც. დაბინძურებული ჰაერი ყველაზე გავლენას 50 წელს მიღწეულ ადამიანებზე ახდენს, სტატისტიკის მიხედვით კი, ყოველწლიურად მსოფლიოში კიბოთი ექვსი მილიონი ადამიანი ავადდება.

დიაბეტს ვირუსი იწვევს

ავსტრალიელი მეცნიერები მელბურნის უნივერსიტეტიდან ვარაუდობენ, რომ პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტი როტავირუსული ინფექციის შედეგად ვითარდება. ეს თეორია სწავლულებმა ლაბორატორიულ თაგვებზე შეამოწმეს და დაადგინეს, რომ ინფექციის შედეგად ცხოველების იმუნური სისტემა იწყებს B-ლიმფოციტებისა და დენდრიტული უჯრედების წარმოებას. ამ უკანასკნელს აქტიურ მდგომარეობაში გადაყავს T-ლიმფოციტები, რომლებიც ანადგურებს კუჭქვეშა ჯირკვლის უჯრედებს — პასუხისმგებელს ინსულინის წარმოქნაზე, ამ პროცესის შედეგი კი შაქრიანი დიაბეტის ფორმირებაა. პირველ ტიპს ახასიათებს ინსულინის უკმარისობა, მეორე ტიპი კი თავად ინსულინის არააქტიური ფორმაა. როგორც წესი, პირველი ტიპის დიაბეტი ბავშვობისა და მოზარდობის ასაკში ჩნდება. ამ დიაგნოზის მქონე პაციენტებმა მკაცრად უნდა აკონტროლონ კვების რაციონი და ინსულინის ნემსი გაიკეთონ. ავსტრალიელი სწავლულები აპირებენ, დაავადების ზუსტი ეტიმოლოგიისთვის დამატებითი კვლევები ჩაატარონ. სავსებით შესაძლებელია, მომავალში ამ პათოლოგიის ჭეშმარიტი მიზეზიც შევიტყოთ.

ჰოცოქლს აბების ჩაანაცვლებს

მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებულ აბს შეუძლია ეფექტურად შეებრძოლოს ნაოჭებს და მისი ინტენსივობა 10%-ით შეამციროს. ახალი პრეპარატის ზემოქმედება ბრიტანელმა სწავლულებმა 166 ქალბატონზე გამოსცადეს, რომელთა საშუალო ასაკი 61 წელი იყო. მცენარეულ მასალებზე დამზადებული ბიოლოგიური დანამატის გამოყენებამ, რომელსაც Dove Spa Strength Within უწოდეს, მისი ეფექტურობა დაადასტურა ცხვირ-ტუჩის დამახასიათებელ ნაოჭებთან ბრძოლაში. მეცნიერები აცხადებენ, რომ პრეპარატი ბოტოქსის საუკეთესო ალტერნატივაა. აბების ერთი თვის მარაგის ღირებულება 35 გირვანქა სტერლინგია და ნისლიანი ალბიონის დედაქალაქში უკვე გაყიდვაშია. პრეპარატის შემადგენლობაშია სოიოს კომპონენტები, ვიტამინები, ცხიმმჟავა ომეგა-3, ასევე ნივთიერება ლიკოპინი, რომელსაც პომიდორი შეიცავს. აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტში მონაწილე ქალბატონების გამოკვლევა 14 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. ისინი ამ პერიოდში იღებდნენ აბებს, შედეგად კი სახის კანის ხარისხი გაუუმჯობესდათ — უფრო ელასტიური და ახალგაზრდა გახდა.

სუდოკუ

ადვილი

			7	9		4		
		9		1	8			
	2						8	7
4	9	6				1		
		2				7		
		3				8	4	5
9	3						6	
			3	4		2		
		4		6	7			

სტანდარტი

	4	3	2		7			5
	7		9					
				5			4	
4							7	
2	9						3	4
	3							1
	8			7				
					1		5	
9			3		5	1	6	

რთული

3			1				6	
		6	2	5				
		7						3
6								
		4	6	3	9	8		
								9
8						3		
				9	8	4		
	1				6			2

ექსპერტი

	5		6		4			9
9	1			5				6
						4		
5			2			9	8	
	7	6			1			4
		5						
3				6			4	7
2			4		8		9	

ყავა და სიგარეტი პარკინსონიზმისგან იცავს

ამერიკელი მეცნიერების მონაცემებით, პარკინსონით დაავადებულები ნაკლებად არიან მწეველები და ყავის გაცილებით ნაკლებ რაოდენობას მოიხმარენ, ვიდრე ჯანმრთელი ადამიანები. მკვლევართა აზრით, ყავასა და ნიკოტინს მართლაც შეუძლია დაიცვას ტვინი ნეიროდეგენერაციული დაავადებებისგან. მოწევის კავშირი პარკინსონიზმის განვითარების დაბალ რისკთან დიდი ხანია ცნობილია მეცნიერებისთვის. ამავე დროს ბევრი ექსპერტი ამ დაავადებას გენეტიკურად მიიჩნევს, თუმცა, სიგარეტისადმი მიდრეკილების უქონლობა პარკინსონით დაავადებულებში შეიძლება ასევე გენეტიკით იყოს განპირობებული.

ამ ჰიპოთეზის შემოწმება მაიამის უნივერსიტეტის მკვლევარებმა გადაწყვიტეს. გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო პარკინსონიზმით დაავადებულმა 356-მა ადამიანმა და 317-მა ასაკოვანმა მოხალისემ, რომელთა ახლო ნათესავებსაც ამ დაავადების პირველი ნიშნები გაუჩნდათ. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ პარკინსონიზმით დაავადებულებში მწეველი 40%-ით ნაკლები იყო, ვიდრე ჯანმრთელ მოხალისეებში. მოხალისეები ასევე 40%-ით ნაკლებად აღმოჩნდნენ ყავის მოყვარულები. როგორც კვლევის ავტორები აღნიშნავენ, მიზეზები, რის გამოც ყავისა და სიგარეტის მოხმარება პარკინსონიზმის განვითარების რისკს ამცირებს, ჯერჯერობით უცნობია. ამავე დროს, ეს კანონზომიერება შეიძლება დოფამინურ ცვლას უკავშირდებოდეს. ცნობილია, რომ პარკინსონიზმს ნეირონების მასობრივი სიკვდილი იწვევს, რომლებიც სწორედ ამ ნეირომედიატორს გამოიმუშავებენ. ყავასა და ნიკოტინს კი შეუძლია თავის ტვინში მისი დონე აწიოს. გარდა ამისა, ზოგიერთი გამოკვლევის მონაცემები ადასტურებს, რომ ნიკოტინს შეუძლია ნეიროტოქსინების ბლოკირება, რომლებიც დოფამინის გამომმუშავებელ ნერვულ უჯრედებს ანადგურებს.

ყველაზე „ზარმაცი“ ქვეყნები

ბრაზილიელმა მკვლევარებმა მსოფლიოს 122 ქვეყნის მცხოვრებთა ფიზიკური აქტივობის მონაცემები შეადარეს და საკმაოდ საინტერესო შედეგები მიიღეს. სიზარმაცეში „პირველობის პალმა“ კუნძულ მალტას მაცხოვრებლებს ერგოთ — აქაურების თითქმის 72% გაურბის ფიზიკურ აქტიურობას. მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ სერბები, მესამეზე კი დიდი ბრიტანეთი. ამერიკის შეერთებული შტატების მკვიდრნიც კი მათზე აქტიურები აღმოჩნდნენ — აქ ზარმაცები მოსახლეობის 41%-ს შეადგენენ. როგორც კვლევის ავტორები აცხადებენ, ბევრ ქვეყანაში ფიზიკური აქტივობა ასაკთან ერთად ეცემა, ამასთან, მანდილოსნები უფრო ნაკლებს მოძრაობენ, ვიდრე მამაკაცები. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში კი ზარმაცი და ცხოვრების მჯდომარე წესის მიმდევარი უფრო მეტი ადამიანი ცხოვრობს.

პირველი წყალქვეშა ბარი გახსნეს

მსოფლიოში პირველი წყალქვეშა ბარი მექსიკაში გაიხსნა სადაც შესასვლელად, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გახდაა რეკომენდებული. აქ მომხმარებელს სასმელის ნაცვლად, გართობა ელის. მსურველებს შეუძლიათ ერთმანეთს ჰაერის ბუშტები ესროლონ სპეციალური პისტოლეტებიდან, იცეკვონ, გადაიღონ სამახსოვრო ფოტოები და „ჯენგუ“ ითამაშონ. კოქტეილის შეკვეთა, რასაკვირველია შესაძლებელია, თუმცა, მხოლოდ ჰაერის. კლიენტს პირდაპირ ჩაფხუტში მიეწოდება არომატიზებული ჰაერი. წყალქვეშა ბარი უზარმაზარი აკვარიუმია, რომელშიც 50 ათასი ლიტრი წყალი ჩადის. ყოველ კლიენტს სპეციალური ჩაფხუტი ეძლევა. მასში შემავალი ჰაერის 70%-ს ჟაგბადი წარმოადგენს. ბარის თანამშრომლები ამბობენ, რომ ამგვარად მათი სტუმრები სიმხნევისა და ენერგიის მოზღვავებას იგრძნობენ. „დაწესებულებაში“ 20 წუთის გატარება 38 დოლარი ღირს, ფოტოების გადასაღებად კიდევ 22 დოლარის დამატებაა საჭირო. თუმცა ჩანს, ტურისტებს ეს დიდად არ აღელვებთ, რადგან ბარს გახსნის დღიდან კლიენტები არ აკლია, იქიდან გამოსულები კი აღფრთოვანებას ვერ მალავენ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

7	3	6	4	9	5	2	1	8
2	5	1	7	3	8	6	4	9
4	9	8	2	1	6	3	7	5
8	4	2	3	7	1	5	9	6
3	1	5	9	6	4	8	2	7
6	7	9	8	5	2	4	3	1
9	8	7	6	4	3	1	5	2
1	2	4	5	8	9	7	6	3
5	6	3	1	2	7	9	8	4

სტანდარტი

3	2	6	7	9	5	4	1	8
9	1	8	6	3	4	2	7	5
7	5	4	2	1	8	9	6	3
8	9	7	5	2	6	3	4	1
1	6	3	4	8	9	7	5	2
5	4	2	3	7	1	8	9	6
4	3	1	9	5	2	6	8	7
2	8	9	1	6	7	5	3	4
6	7	5	8	4	3	1	2	9

რთული

2	7	5	4	1	3	6	9	8
6	9	1	5	8	7	4	3	2
8	4	3	6	2	9	5	1	7
7	3	2	1	4	8	9	6	5
5	6	8	9	3	2	7	4	1
4	1	9	7	6	5	8	2	3
3	5	7	2	9	6	1	8	4
1	2	6	8	7	4	3	5	9
9	8	4	3	5	1	2	7	6

ექსპერტი

6	7	2	4	5	3	1	9	8
5	4	9	1	8	7	6	3	2
1	8	3	6	2	9	7	5	4
4	2	1	9	7	8	5	6	3
7	3	8	5	4	6	9	2	1
9	6	5	3	1	2	4	8	7
3	1	7	2	9	5	8	4	6
2	9	4	8	6	1	3	7	5
8	5	6	7	3	4	2	1	9

მე-10 გვერდი: 1. ავდარი; 2. აზარტი; 3. ვიზავი; 4. ავორრა; 5. ინვარი; 6. ნოსტალგია; 7. ასფალტი; 8. იპოქონდრია; 9. ენკენისთვე; 10. მორევი; 11. ვაშლი; 12. შინაბერა; 13. ანფასი; 14. ჯამი; 15. ამპირი; 16. ლიტრი; 17. პინა; 18. ჰობოი; 19. ნიბლია; 20. კინგი; 21. ნინეია; 22. ავაზა; 23. კარგო; 24. ქსენონი; 25. ბინდი; 26. ნინა სუბლატი; 27. ნოსტრა; 28. აკრი; 29. ნესტო; 30. კაბა; 31. ნაირობი; 32. ოთარ; 33. ატოლი; 34. ლირა; 35. არვე; 36. ბაიადერა; 37. ოინი; 38. ლანოლინი; 39. ძერა; 40. თვე; 41. ნომი; 42. აგრა; 43. ძლოკვი; 44. ბრუტუსი; 45. გიზა; 46. ბალისტა; 47. სუნა; 48. ატილა; 49. ბასტიონი; 50. არენა; 51. რეგანა; 52. ბრაბანციო; 53. ამაგი; 54. კლიო; 55. აუტი; 56. ეტრატი; 57. ბანტუ; 58. ანა; 59. ატაცი; 60. იანი; 61. კასტა; 62. ამულეტი; 63. ირა; 64. ლედი; 65. ეტლი; 66. ქესატი; 67. იობი; 68. ძნა; 69. ნარიტა; 70. ტროა; 71. ქააბა; 72. ემუ; 73. სია; 74. როი; 75. სპა; 76. „წიქარა“; 77. კანო; 78. რუქა; 79. წუა; 80. სარა; 81. პიცა; 82. არია; 83. ურდო; 84. ოდა; 85. ალაო; 86. ბიტუმი.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაზოგეთ წელიწადში 300 ლარი

ბინა – 60 ლარი

აგარაკი – 100 ლარი

ბინას + აგარაკი = 135 ლარი

დაცვის პოლიციის მიერ დაცული სააგარაკე ზონებია:

წყნეთში, ბეთანიაში, ქოჯორში, საგურამოში, შინდისში, ტაბახმელაში, ოქროყანაში, წავკისში, ბორჯომში, ბაკურიანში, კვარიათში, ურეკში, გონიოში, სარფში, ნაბახტარში, მისაქციელში, ქობულეთში, ბულაჩაურში, არაგვისპირსა და წითელსოფელში.

www.125.ge SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაიცავით თქვენი ქონება თანამედროვე დაცვითი სისტემებით

დაცვის პოლიცია თავის საქმიანობას მაღალი კლასის სატრანსპორტო საშუალებებით ახორციელებს. დედაქალაქსა და რეგიონებში მოქალაქეთა უსაფრთხოებას ოპერატიული რეაგირების 60 ეკიპაჟი ემსახურება.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

125 დაცვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge